პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 42-ე წელი. № 192 (12106) | ოთხშაბათი, 23 აგვისტო, 1961 წ. | ფასი 2 კაპ.

ᲚᲘᲠᲡᲔᲣᲚᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲡᲙᲙᲞ XXII ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ!

ᲨᲔᲜᲗᲕᲘᲡ, ᲩᲔᲛᲝ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲕ!



თბილისის ფეხსაცმლის მეორე ფაბრიკის კოლექტივმა მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვა სკკპ XXII ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში. საწარმოს კოლექტივმა საერთო პროდუქციის გამოშვების შვიდი თვის გეგმა 100,8 პროცენტით შეასრულა, მკვეთრად გაუმჯობესა პროდუქციის ხარისხი, მინიმუმამდე დაიყვანა პროდუქციის წუნი, 25.500 მანეთით შეამცირა გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულება, გაუმჯობესა ეკონომიური მაჩვენებლები და მიიღო 39 ათასი მანეთი ზეგეგმით დაგროვება.

საწარმოში ნაყოფიერ ბრძოლას ეწევიან ძირითადი და დამხმარე მასალების მომჭირნეობით ხარჯვისათვის. შვიდ თვეში დაზოგილი მასალებით გამოშვებულია 15 ათასი წყვილი ფეხსაცმელი.

ფაბრიკის საერთო წარმატებაში თავი ისახელეს კომუნისტური შრომის ბრიგადებმა, რომლებსაც მ. კანაშვილი და ა. გვენცაძე ხელმძღვანელობენ.

ცალკე დამკვრელებს შორის ყველას გაუსწრეს გ. ბენდუქიძემ, ბ. ლამაზოვმა, ე. მელქაძემ და ე. კირვალიძემ.

ქუთაისი. (საკ. კორ.). რკინიგზის ქუთაისის მეორე სადგურის კოლექტივმა წლის პირველსა და მეორე კვარტალში ზედიზედ შეინარჩუნა ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოსა და პროფკავშირის საგზაო კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

ქუთაისელი რკინიგზელები კიდევ უფრო თავგამოდებით შრომობენ იმისათვის, რომ დროშა მესამე კვარტალშიც შეინარჩუნონ და 11 თვის გეგმის შესრულებით შეხვდნენ პარტიის XXII ყრილობას. სადგურის შრომისმოყვარე კოლექტივმა შვიდ თვეში გაანაღდა სახალხო-სამეურნეო ტვირთების დატვირთვის რვა თვის დავალება. 15 აგვისტოსათვის რკინიგზელებმა დატვირთეს რვა თვის გეგმა 136 პროცენტით შეასრულეს, ხოლო გადმოტვირთვისა — 105,5 პროცენტით.

ᲨᲠᲝᲛᲐᲨᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲜᲘ

საქართველოს კომპარტიის ცხაკიას რაიკომმა და მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომმა განიხილეს საკითხი მიმდინარე წლის ივლისში სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შესახებ.

ჩაის კრეფაში რაიონში ყველაზე უკეთეს შედეგებს მიაღწია სოფელ უშაფათის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობამ, რომელმაც ივლისში მოკრიფა 88.786 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, გეგმა 126,2 პროცენტით შეასრულა. საქართველოს კომპარტიის ცხაკიას რაიკომისა და რაისაბჭოს აღმასკომის გარდამავალი წითელი დროშა ამ კოლმეურნეობას მიეკუთვნა.

დიდ წარმატებებს მიაღწიეს ზნეფის, ფოცხოს, ზანის, ნაქალაქევის, ზემო ჭალადიდის კოლმეურნეობებმა.

აბრეშუმის პარკის მოსავლიანობის გეგმის დიდი გადაჭარბებით შესრულებისათვის სოფელ ფოცხოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობას მიეკუთვნა პარტიის ცხაკიასა რაიკომისა და რაისაბჭოს აღმასკომის გარდამავალი წითელი დროშა.

ხ. კუმავა.

ᲐᲠᲘᲡ, ᲬᲚᲘᲣᲠᲘ ᲒᲔᲒᲛᲐ!

ბალი. („კომუნისტის“ კორ.). სოფელ დიხაზურგის ჭავჭავაძის სახელობის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე შ. გამსახურდია) მეჩაიეებმა გუშინ გადაჭარბებით შეასრულეს ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა. 310 ტონის ნაცვლად მოკრიფეს და მრეწველობას ჩააბარეს 311 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი.

165.000 ᲢᲝᲜᲐ ᲩᲐᲘᲡᲗᲕᲘᲡ!

500 ᲬᲝᲜᲐ ᲩᲐᲘ

წყალტუბო. (საკ. კორ.). წყალტუბოელი მეჩაიეები ახალ საჩუქრებს უმზადებენ პარტიის XXII ყრილობას. მათ პირველი დიდი წარმატება უკვე მოიპოვეს. 21 აგვისტოსათვის შეასრულეს ჩაის კრეფის წლიური გეგმა. მოკრიფეს 2.620,2 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი ნაცვლად 2.620 ტონისა. წლევანდელი მაჩვენებელი 96 ტონით აღემატება შარშანდელს. მოკრეფილი ნედლეულის 75 პროცენტი პირველი ხარისხისაა.

დიდ წარმატებებს მიაღწიეს საჩხეურის, დღნორისის, მექვენის, მუხიანის კოლმეურნეობებმა (თავმჯდომარეები ნ. კიბორძალიძე, ა. სოხაძე, ო. მაღლაფერიძე, ს. მეძმარიაშვილი). ეს კოლმეურნეობები ახლა ვალდებულების გადამეტებით კრეფენ ჩაის ფოთოლს. სოფელ რიონის კიკვიძის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე შ. ჯიშკარიანი) 258 ტონა ჩაის ნედლეული მოკრიფა, წლიური გეგმა კი 245 ტონას ითვალისწინებდა.

ამ კოლმეურნეობის ბრიგადამ, რომელსაც სოციალისტური შრომის გმირი ს. სულაქველიძე ხელმძღვანელობს, მოკრიფა 125 ტონა ჩაის ფოთოლი.

რაიონის მეჩაიეებმა გადაწყვიტეს წინათ ნაკისრი ვალდებულება, რომელიც 455 ტონა ზეგეგმითი ნედლეულის მოკრეფას ითვალისწინებს, შეასრულონ საქართველოს კომპარტიის XXI ყრილობის გახსნის დღისათვის, ხოლო სულ სვეზონში გეგმის გადამეტებით მისცენ სამშობლოს 500 ტონა ჩაის ნედლეული.

ᲬᲘᲜ ᲛᲘᲓᲘᲐᲜ

პარტიის XXII ყრლობის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაჩაღების შედეგად ტყიბულის რაიონის მეჩაიეებმა ახალი წარმატება მოიპოვეს: 20 აგვისტოსათვის შეასრულეს ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა. მოკრეფილია 3.007 ტონა ხარისხოვანი ჩაის ნედლეული ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 3.000 ტონისა.

ტყიბულელმა მეჩაიეებმა ვალდებულება იკისრეს წლიური გეგმის გადამეტებით მოკრიფონ 450 ტონა „მწვანე ოქრო“. ჩაის კრეფა ახალი ძალით გაჩაღდა.

ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘᲡ ᲕᲐᲮᲢᲖᲔ

შრომაში მოპოვებული ახალი მიღწევებით შეეხვედეთ მშობლიური კომუნისტური პარტიის მომავალ XXII ყრილობას — ასეთი მისწრაფებით მუშაობენ სოფლის ახალგაზრდები. ყველგან — მინდვრად თუ ფერმებში, იქ, სადაც მატერიალური დოვლათი იქმნება, იგრძნობა ახალგაზრდობის თავდადებული შრომა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სიუხვისათვის. ერთ-ერთი მათგანია ლაგოდეხის რაიონის სოფელ ცოდნისკარის ძერეენსკის სახელობის კოლმეურნეობის პროდუქციული მსხვილფეხა პირუტყვის ფერმის ახალგაზრდა მწველავი გულნარა კაპანაძე. (სურათი მარცხნივ). საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ კოლმეურნეობაში დაიწყო მუშაობა, მწველავის პროფესია აირჩია. პირველ ხანებში მუშაობა უჭირდა, მაგრამ გული არ გასტეხია. უფროსების მუშაობას აკვირდებოდა, მათგან სწავლობდა. სულ მოკლე ხანში კარგად დაეუფლა საქმეს და სახელი გაითქვა, როგორც საუკეთესო მუშაკმა. აკი ამიტომაც ერთსულოვნად აირჩიეს იგი რაიონული ხაბჭოს დეპუტატად. შრომას უქებენ გულნარას. წელს იკისრა მოსავლელად მიჩენილი 12 ძროხიდან ყოველ მათგანზე გეგმით გათვალისწინებული 2.700-სის ნაცვლად 3.400 კილოგრამი რძე მიიღოს. პირობას კარგად ასრულებს. დღეისათვის ყოველ ძროხაზე მიიღო 2.800 კილოგრამი რძე.

ალალი საწარმოო მაჩვენებლებისათვის იბრძვის სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის საბრძმედე საამქროს კომუნისტური შრომის ბრიგადის წევრი მექურე ნოდარ ლეკიშვილი (სურათი მარჯვნივ). დგას რა სკკპ XXII ყრილობის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე, ნოდარი მნიშვნელოვანი გადაჭარბებით ასრულებს ყოველდღიურ საწარმოო დავალებას.

ფოტო შ. ჩხეტიანისა და გ. კიკვაძისა.

(საქდესის ფოტოქრონიკა)

ᲓᲘᲐᲓ ᲒᲖᲐᲖᲔ — ᲛᲫᲚᲐᲕᲠᲘ ᲜᲐᲒᲘᲯᲔᲑᲘᲗ

ᲡᲙᲙᲞ XXII ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲛᲐᲮᲡᲝᲕᲠᲝ ᲡᲐᲭᲣᲭᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲐᲠᲐᲡᲬᲝᲠᲘ ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში ცალკეული პარტიული, საზოგადოებრივი და სამეურნეო ორგანიზაციებისაგან შემოდის შეკითხვები და წინადადებანი პარტიის მომავალი XXII ყრილობისათვის სპეციალური მხატვრულად გაფორმებული სამახსოვრო საჩუქრების — სხვადასხვა მანქანის მოდელებისა და ნაგებობათა მაკეტების, ლარნაკების, ხალიჩების, მაგიდის მოწყობილობის, საათებისა და სხვა ნაკეთობათა დამზადების შესახებ. მთელ რიგ ადგილებში ასეთ საჩუქრებს უკვე ამზადებენ ისე, რომ ამისათვის იხარჯება დიდძალი სახელმწიფო სახსრები.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტს საჭიროდ მიაჩნია განმარტოს, რომ ქარხნების, ფაბრიკების, მშენებლობათა კოლექტივების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების საუკეთესო საჩუქარი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობისათვის იქნება საწარმოო გეგმებისა და მომავალი პარტიული ყრილობის აღსანიშნავად სოციალისტურ ვალდებულებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება. XXII ყრილობისათვის სპეციალური სამახსოვრო საჩუქრების დამზადება კი უსარგებლო და მიზანშეუწონელი საქმეა.

სკკპ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘ

ᲓᲘᲐᲓ ᲒᲖᲐᲖᲔ — ᲛᲫᲚᲐᲕᲠᲘ ᲜᲐᲒᲘᲯᲔᲑᲘᲗ

დღითიდღე ძლიერდება სკკპ XXII ყრილობის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრების ტემპი. ფაბრიკებისა და ქარხნების, მაღაროებისა და შახტების, მშენებლობებისა და ტრანსპორტის კოლექტივები ყოველთვიურად ვადამდე უპატაკებენ სამშობლოს საწარმოო გეგმების შესრულებას და გეგმის გადამეტებით აძლევენ სამშობლოს დიდძალ ფოლადს, თუჯს, მარგანეცს, მსუბუქი და კვების მრეწველობის პროდუქციას.

ამ თავდადებულ შრომაში მრეწველობის მუშაკებს ახალ ენერგიას მატებს პარტიის ახალი პროგრამის პროექტი, რომელშიც დასახულია კომუნიზმის მშენებლობის მატერიალური და ტექნიკური ბაზის შექმნის კონკრეტული ამოცანები. პროგრამის პროექტში მოცემული ციფრები წარმოდგენას გვაძლევენ გადასაჭრელი საწარმოო ამოცანების სიდიადეზე. მრეწველობის პროდუქციის მოცულობა 10 წლის განმავლობაში გაიდიდება დაახლოებით 2,5-ჯერ, ხოლო 20 წლის განმავლობაში — სულ ცოტა 6-ჯერ. ამის უზრუნველსაყოფად პროგრამის პროექტში გათვალისწინებულია აგრეთვე, რომ 10 წლის განმავლობაში შრომის ნაყოფიერება უნდა გადიდდეს ერთიორად და უფრო მეტად, 20 წლის განმავლობაში კი — ოთხჯერ-ოთხნახევარჯერ. ოცი წლის შემდეგ შრომის ნაყოფიერება საბჭოთა მრეწველობაში გადაჭარბებს ამერიკის შეერთებული შტატების შრომის ნაყოფიერების თანამედროვე დონეს დაახლოებით ერთიოროდ.

ჩვენი რესპუბლიკის საწარმოთა სამეურნეო ხელმძღვანელები, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები ღრმად უნდა ჩაუფიქრდნენ, თუ რა დიდი ამოცანებია დასახული და ენერგიის რა დიდ დაძაბვას მოითხოვს მათი გადაჭრა.

რესპუბლიკის მოწინავე საწარმოთა კოლექტივებმა ახალი იერიში დაიწყეს შვიდწლედების ზლუდეების დასაპყრობად და გაჩაღებულ ბრძოლაში თვალსაჩინო წარმატებებს აღწევენ.

პროგრამის პროექტით დასახულია ამოცანა — 20 წლის მანძილზე შავმეტალურგიამ ისეთ დონეს მიაღწიოს, რომ საშუალება გვექნეს გამოვადნოთ წელიწადში დაახლოებით 250 მილიონი ტონა ფოლადი. ჭიათურელმა მაღაროელებმა ამ დიდი ამოცანის წარმატებით შესრულებისათვის კონკრეტული ამოცანები დასახეს შრომატევადი პროცესების მექანიზაციის დარგში და ახალი ენერგიით შეუტიეს შვიდწლედის ზლუდეებს. მაღაროელების თავდადებულმა შრომამ პირველი თვალსაჩინო ნაყოფი უკვე გამოიღო. კალინინისა და დიმიტროვის სახელობის მაღაროთა კოლექტივებმა 20 დღით ადრე შეასრულეს მარგანეცის გამოღების რვა თვის დავალება და ახლა პროდუქციას სექტემბრის ანგარიშში იძლევიან. გეგმების წარმატებით შესრულებასთან ერთად კალინინის სახელობის მაღაროს კოლექტივმა მკვეთრად გაუმჯობესა ეკონომიური მაჩვენებლები და ექვს თვეში დაზოგა 24.700 მანეთი.

თვალსაჩინო წარმატებებს აღწევს ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის კოლექტივი. გარდა იმისა, რომ ეს სახელოვანი კოლექტივი თვიდან თვემდე ზრდის პროდუქციის წარმოებას, ამავე დროს წარმატებით ითვისებს ახალი მარკის შენადნობთა წარმოებას. აქ მოკლე დროში აითვისეს და წარმოებაში დანერგეს ოცდახუთი ახალი მარკის შენადნობთა წარმოება. ამ საწარმოს სამართლიანად უწოდეს ფეროშენადნობთა საკავშირო ლაბორატორია.

ამ შრომითი აღმავლობის დღეებში მაღალნაყოფიერად შრომობს თბილისის კერამიკული კომბინატის კოლექტივი. აქ შვიდი თვის გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 9.100 კვადრატული მეტრი მოსაპირკეთებელი ფილები, ბევრი უნიტაზი და პირსახანი. ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვის შედეგად გეგმასთან შედარებით 7,2 პროცენტით გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, მკვეთრად გაუმჯობესდა ეკონომიური მაჩვენებლები და შვიდ თვეში წარმოებამ 88 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება მიიღო.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ რესპუბლიკის მოწინავე საწარმოთა გვერდით ჯერ კიდევ საკმაო რაოდენობით არიან საწარმოები, სადაც ძმიმედ ინერგება ახალი ტექნიკა და ტექნოლოგია, სისტემატურად ჩამორჩებიან გეგმების შესრულებაში, სუსტად ზრუნავენ პროდუქციის ხარისხისა და ეკონომიური მაჩვენებლების გაუჯობესებისათვის. ასეთ საწარმოთა ხელმძღვანელებს ავიწუდებათ, რომ თავიანთი ცუდი მუშაობით უკან სწევენ რესპუბლიკის მრეწველობის მაჩვენებლებს. მაგალითად, მარტო საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს 80 საწარმოს არ შეუსრულებია საერთო პროდუქციის გამოშვების წლის პირველი ნახევრის გეგმა. საწარმოთა 25 პროცენტს არ შეუსრულებია შრომის ნაყოფიერების გადიდების დავალება. ერთ მეხამდეს არ მიუღწევია საგეგმო მაჩვენებლებისათვის პროდუქციის თვითღირებულების შემცირებაში.

დღეს, როცა ფართო ფრონტით არის გაშლილი ბრძოლა კომუნიზმის მატერიალური და ტექნიკური ბაზის შექმნისათვის, ჩამორჩენილი საწარმოების მოთმენა აღარ შეიძლება. მათმა ხელმძღვანელობამ, პარტიულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა ღრმა ანალიზი უნდა გაუკეთონ არსებულ მდგომარეობას, დასახონ ღონისძიებანი იმისათვის, რომ ნოვატორთა მაჩვენებელი ყველას კუთვნილება გავხადოთ და წარმოების საერთო მაჩვენებელი ავიყვანოთ ნოვატორთა დონემდე.

ᲛᲝᲫᲛᲔ ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲚ ᲮᲐᲚᲮᲡ

ᲐᲛᲮᲐᲜᲐ�გᲔᲑᲘᲡ ნ. ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ლ. Ი. ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘᲡ ᲓᲔᲙᲔᲞᲔᲨᲐ

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის ხელმძღვანელებს გეორგე გეორგიუ-დეჟსა და იონ გეორგე მაურერს გაუგზავნეს დეპეშა, რომელშიც უაღრესად გულითადად ულოცავენ მომძმე რუმინელ ხალხს ფაშიზმისაგან რუმინეთის განთავისუფლების 17 წლისთავთან დაკავშირებით.

მისალმებაში აღნიშნულია შესანიშნავი წარმატებანი რუმინელი ხალხისა, რომელმაც რუმინეთის მუშათა პარტიის ნაცადი ხელმძღვანელობით გარდაქმნა წარსულში ჩამორჩენილი თავისი ქვეყანა ინდუსტრიულ-აგრარულ სახელმწიფოდ. თავიანთი მებრძოლი ავანგარდის — რუმინეთის მუშათა პარტიის გარშემო შეკავშირებული რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელები მტკიცედ მიდიან წინ სოციალიზმის სრული გამარჯვებისაკენ და ღირსეული წვლილი შეაქვთ მსოფლიო სოციალისტური სისტემის ძლიერების განმტკიცების საქმეში.

საბჭოთა ადამიანები, წერენ ამხანაგები ნ. ს. ხრუშჩოვი და ლ. ი. ბრეჟნევი, გულწრფელად ხარობენ მომძე რუმინელი ხალხის შესანიშნავი წარმატებებით სოციალიზმის მშენებლობაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო უსურვებენ მომძე რუმინელ ხალხს ახალ წარმატებებს სოციალიზმის მშენებლობაში, მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის ბრძოლაში.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ

ᲡᲣᲚ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲗ ᲒᲔᲕᲚᲝᲗ, ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲝ!



დღეს რუმინელი ხალხის დიდი ზეიმია. ჩვიდმეტი წლის წინათ ჩვენმა ჯარებმა ჰიტლერელთაგან გაწმინდეს რუმინეთის მიწა-წყალი და თვით რუმინელებმაც გერმანელ ფაშისტთა წინააღმდეგ მიმართეს იარაღი.

ჩვიდმეტი წელი... ვინ მოთვლის ყველა გამარჯვებას, ამ ხნის მანძილზე რომ მოიპოვა თავისუფალმა რუმინეთმა!

გუშინ, „კომუნისტის“ კორესპონდენტი ტელეფონით დაუკავშირდა რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანოს — გაზეთ „სკინტეიას“ რედაქციას, მიეულოცა დღესასწაული და რამდენიმე კითხვა მისცა:

თბილისი. ქართველი ხალხი ყოველთვის ხარობს რუმინელთა სიხარულით. ამჯერადაც სულით და გულით გილოცავთ, ძვირფასო მეგობრებო!

ბუქარესტი. ჩვენს საუკუნოვან მეგობრობაზე ამ უკანასკნელ ხანს ბევრი დაიწერა. ამ მეგობრობის კიდევ ერთი დადასტურება იყო ამხანაგ გეორგე გეორგიუ-დეჟის ხელმძღვანელობით რუმინეთის მთავრობისა და პარტიის დელეგაციის ყოფნა საქართველოში. გაზეთი „სკინტეია“ ამ დიდ მოვლენას ფართოდ აშუქებდა. ყოველდღე იბეჭდებოდა ჩვენი სპეციალური კორესპონდენტების რეპორტაჟი „მზიურ საქართველოში“. 9 აგვისტოს ნომერში დაბეჭდილია ამხანაგ ვასილ მეავანაძისა და გეორგე გეორგიუ-დეჟის სიტყვები, წარმოთქმული თბილისის ახალ სპორტულ სასახლეში...

ჩვენ წარსულიც გვაერთიანებს, აწმყოც და მომავალიც.

თბილისი. 23 აგვისტოსათვის აღბათ მრავალი ახალი წარმატება მოიპოვეს რუმინელმა მშრომელებმა?

ბუქარესტი. ძალიან ბევრი. თუნდაც რამდენიმე მაგალითი ავიღოთ. ჩვენი გაზეთის დღევანდელი ნომერი თითქმის საზეიმოა, ფერადი, სასიხარულო ცნობებითა და ამბებით. ამ დღისათვის მდინარე ქიუს ველის მეშახტეებმა 142 ათასი ტონა ზეგეგმითი ქვანახშირი მისცეს სამშობლოს, ხოლო ბლოეშტის ოლქის (მდინარე პრახოვას ველზე) მარტო ერთმა ნავთობგადამამუშავებელმა ქარხანამ ცხრა მილიონ ორასი ათასი მანეთის ეკონომია გასწია.

„სკინტეიას“ მეორე გვერდი დათმობილი აქვს საბჭოთა ხალხისა და რუმინელთა ერთობლივი ბრძოლის ამსახველ ამბებს, ფოტოსურათებსა და დოკუმენტებს.

თბილისი. ზეიმი აღბათ ხვალ გაიმართება?

ბუქარესტი. დიახ. ბუქარესტი უკვე საზეიმოდ არის მორთულ-მოკაზმული. ხვალ დილიდანვე მოეფინება ყრიამული და სიმღერები სტალინის უზარმაზარ მოედანს.

თბილისი. გისურვებთ სულ გამარჯვებით გეევლოთ დიდი ცხოვრების გზაზე, გადაეცით თქვენი გზაზეთის მკითხველებსა და მუშაკებს „კომუნისტის“ მკითხველთა მხურვალე სალამი და სიყვარული.

ბუქარესტი. უღრმესი მადლობა მეგობრული მოლოცვისათვის. ჯანმრთელობასა და კარგად ყოფნას ვუსურვებთ „კომუნისტის“ მკითხველებს. სამარადისო ყოფილიყოს ქართველთა და რუმინელთა მეგობრობა!



ᲑᲣᲥᲐᲠᲔᲡᲢᲘ

ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲡᲙᲝᲛᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲬᲔᲡᲓᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲔᲑᲘ

21 აგვისტოს სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის საპატიო დარბაზში გაიმართა პარტიული ორგანიზაციების მდივანთა, პროპაგანდისტთა, ლექტორთა, აგიტსემინარების ხელმძღვანელთა და აგიტატორთა თათბირი, რომელიც საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის კომიტეტმა მოიწვია. თათბირი მიეძღვნა რესპუბლიკის დედაქალაქის პარტიულ ორგანიზაციათა ამოცანებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამისა და წესდების შესწავლისა და პროპაგანდის საქმეში.

საინსტრუქციო მოხსენება გააკეთა საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის კომიტეტის პირველმა მდივანმა გ. ა. გეგეშიძემ. მან აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამისა და წესდების პროექტების გაცნობა საბჭოთა ადამიანებში იწვევს დიდი მადლობის გრძნობას უკვდავ ლენინს მიერ შექმნილი და გამოწრთობილი კომუნისტური პარტიისადმი, რომელიც ბრძოლად და თანამიმდევრულად განაგრძობს მის დიად საქმეს. მომხსენებელმა დაახასიათა ჩვენი ეპოქის ეს დიადი დოკუმენტები, რომლებიც მთელი მსოფლიოს ყურადღებას იპყრობენ.

ამხ. გეგეშიძემ მოიყვანა მკაფიო ციფრები და ფაქტები, რომლებიც თვალნათლივ ცხადყოფენ საქართველოსა და მისი დედაქალაქის მშრომელთა აქტიურ მონაწილეობას კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის ბრძოლაში. საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმურ ოჯახში ქართველი ხალხი პირნათლად ახორციელებს თავის ყრილობისწინა სოციალისტურ ვალდებულებებს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა პროგრამისა და წესდების პროექტები გამოიტანა პარტიისა და ყველა მშრომელის განსახილველად. ამასთან დაკავშირებით პარტიული ორგანიზაციების წინაშე დასახულია დიდი და პასუხსაგები ამოცანები — მოაწყონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამისა და წესდების პროექტების წაკითხვა, შესწავლა და განხილვა საწარმოებში, მშენებლობებზე, დაწესებულებებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, მოსახლეობის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

პარტიული ორგანიზაციები მასების მზარდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის სათავეში უნდა იდგნენ. უნდა მოეწყოს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამისა და წესდების პროექტების ფართო განხილვა, დროზე განაზოგადონ პარტიული ორგანიზაციებისაგან, ცალკეული კომუნისტებისა და უპარტიოებისაგან შემოსული შენიშვნები და წინადადებანი. (საქდესი).

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტი თავის განცხადებაში გერმანიისა და ბერლინის საკითხებზე აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის სამშვიდობო ინიციატივაზე, რომელშაც მოუწოდა დადონ საზავო ხელშეკრულება გერმანიასთან, რეაქციული ძალები, რომელნიც გაერთიანებული არიან დასავლეთ გერმანელ მილიტარისტებსა და რევანშისტებთან ნატოს აგრესიულ ბლოკში, უპასუხებენ საომარი განცხადებებით, აძლიერებენ გამალებულ შეიარაღებას, იმუქრებიან ომის გაჩაღებას.

დასავლეთგერმანელი რევანშისტები დასავლეთ ბერლინს, რომელიც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ტერიტორიაზე არ არის, იყენებენ ომის ისტერიის გასაღვივებლად და საერთაშორისო დაძაბულობის გასამწვავებლად, ძირგამომთხრელი მოქმედების საწარმოებლად გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ. მილიტარისტებისა და აგრესორების ეს უაღრესად საშიში თამაში ცეცხლთან მსოფლიო ხანძრის საფრთხეს ქმნის.

საბჭოთა ადამიანები, რომლებმაც თავიანთ ზურგზე გადაიტანეს ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ ომის ძირითადი სიმძიმე და იხსნეს კაცობრიობა და მსოფლიო ცივილიზაცია მიხაკისფერი ჰირისაგან, ნათქვამია განცხადებაში, გულგრილად ვერ უყურებენ მოვლენათა ასეთ საშიშ სვლას. აი ამიტომ საბჭოთა ხალხი ასე ერთსულოვნად უჭერს მხარს საბჭოთა მთავრობის წინადადებებს, რომელიც მოუწოდებს — ბოლო მოუღონ მეორე მსოფლიო ომის ნაშთებს, უზრუნველყონ მშვიდობა და უშიშროება ხალხებისათვის ევროპასა და მთელ მსოფლიოში. ეს წინადადებანი გამსჭვალულია ერთადერთი ზრუნვით მშვიდობისათვის. მათი განხორციელება სასარგებლო იქნება ყველა სახელმწიფოსა და ხალხისათვის.

საბჭოთა მთავრობის წინადადებებში. აღნიშნულია განცხადებაში, არ არის ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის ინტერესების ან პრესტიჟის რაიმე ხელყოფა, არ არის ხელყოფა დასავლეთ ბერლინის თავისუფლებისა და მისი მოსახლეობის უფლებისა — იცხოვროს ისე, როგორც სურს.

საბჭოთა მშვიდობის მომხრეები ღრმად დარწმუნებული არიან, რომ საზავო ხელშეკრულებისა და დასავლეთ ბერლინის საკითხი შეიძლება გადაიჭრას დაინტერესებულ მხარეებს შორის. პატიოსანი მოლაპარაკების გზით. მთელი კაცობრიობა შვებით ამოისუნთქებს, ასეთ გადაწყვეტილებას, რომ შეიტყობს.

(საკდესი).

ᲘᲐᲙᲘᲜᲗᲝᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘᲡ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐᲕᲐᲓ

ბუქარესტი, 22 აგვისტო. (საკდესი). დღეს აქ რუმინეთის ეროვნული დღესასწაულის 17 წლისთავის აღსანიშნავად გვირგვინებით საზეიმოდ შეამკეს ფაშიზმის წინააღმდეგ, სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში დაღუპულ რუმინელ გმირთა ძეგლი და მომძმე რუმინელი ხალხის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში დაღუპული საბჭოთა მეომრების ძეგლი.

ძეგლები შემკობილ იქნა რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სახელმწიფო საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს, პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს, მშრომელი ახალგაზრდობის საბჭოს, შეიარაღებული ძალების სამინისტროს, საბჭოთა კავშირთან მეგობრული ურთიერთობის საზოგადოების (არლუსის), რუმინეთის მუშათა პარტიის საქალაქო კომიტეტისა და ბუქარესტის სახალხო საბჭოს, რუმინეთის დედაქალაქის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივების გვირგვინებით.

გვირგვინებით შემკობის ცერემონიას დაესწრნენ რუმინეთის მუშათა პარტიის, მთავრობის ხელმძღვანელები, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების გენერლები და ოფიცრები, აგრეთვე სსრ კავშირის ელჩი რუმინეთის სახალხო რესპუბლიკაში ი. ა. ქეგალინი.

Ი. Ა. ᲒᲐᲒᲐᲠᲘᲜᲘᲡ — ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲯᲘᲚᲓᲝ

ბუდაპეშტი, 21 აგვისტო. (საკდესი). მსოფლიოში პირველი კოსმონავტი მფრინავი ი. ა. გაგარინი უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზი

წინასაყრილობო ტრიგუნა

განვიხილავთ სკკპ პროგრამისა და წესდების პროექტებს

სკკპ პროგრამა — „კომუნისტი“ — „რედაქცია“

გიგანტი მაგისტრალზე

ლიანდაგზეა ახალი ქართული ელექტრომავალი

✦

თბილისელ ელმავალმშენებლებს შეუძლიათ სიამაყით თქვან, რომ ნამდვილად სახიხარულო საჩუქრებით ხვდებიან სკკპ XXII ყრილობას. ამ ცოტა ხნის წინათ გამოუშვეს ახალი რვაღერძიანი ქართული ელმავალი „ტ 8“. ელმავალი გამოშვებულ იქნა ბაზზე გამოსაცდელად. ჯერ ეს გამოცდა არ დამთავრებულა, მაგრამ ზოგი ძირითადი დასკვნის გამოტანა უკვე შეიძლება. ეს დასკვნები მოწმობენ ჩვენი ელექტრომავალმშენებლების მაღალ ტექნიკურ სიმწიფეს და ოსტატობის მაღალი კლასის დაუფლებას, ჩვენი ინჟინერ-კონსტრუქტორების, ამ ახალი ელექტრომავლის დამპროექტებლების დიდს შემოქმედებითს უნარსა და ტექნიკურ სიახლეთა გამონახვის ტალანტს.

ეს მით უმეტეს სახიხარულოა, რომ უახლოეს წლებში ელმავალმშენებელთა კოლექტივს მოუწევს კიდევ უფრო დიდი ამოცანების გადაწყვეტა. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის პროექტში ნათქვამია, რომ ჩვენი ქვეყნის ელექტროფიკაციის თანახმად უახლოესი ათწლეულის მანძილზე იაფი ელექტროენერგიის ბაზაზე უნდა განხორციელდეს ტრანსპორტის მასობრივი ელექტროფიკაცია, რკინიგზის ტრანსპორტის შემდგომი ტექნიკური ხელახლა აღჭურვა. ჩვენი ახალი ელმავალი პირველი ნაბიჯია ამ დიდი გეგმის განხორციელების საქმეში.



ახალი ქართული რვაღერძიანი სამაგისტრალო ელექტრომავალი „ტ 8“ საბჭოთა ელექტრომავალმშენებლობაში დღემდე ცნობილ ამავე კლასის ელექტრომავლებს შორის უველაზე მძლავრია. მისი სიმძლავრე უდრის 7.072 ცხენის ძალას, რაც 25 პროცენტით აღემატება სერიული წარმოების „ნ 8“ მარკის რვაღერძიანი ელექტრომავლის სიმძლავრეს. ამავე დროს ახალი ქართული ელექტრომავლის წონა 8 ტონით ნაკლებია იმავე სერიული ელექტრომავლის წონასთან შედარებით.

„ტ 8“-ს გამოცდა გვიჩვენებს, რომ მისი კონსტრუქციული სიჩქარე საათში 100 კილომეტრია, სერიული ელექტრომავლის სიჩქარეს საათში 5 კილომეტრით აღემატება.

„ტ 8“-ზე გამართულია რვა წევის ძრავი. თვითეული ძრავის სიმძლავრე 900 ცხენის ძალას შეადგენს. სიამაყით შეიძლება აღინიშნოს, რომ ასეთი ახალი კონსტრუქციის წევის ძრავების შექმნით ქარხნის ახალგაზრდა კონსტრუქტორებმა დიდი შემოქმედებითი პოტენციალი და გონებამახვილობა გამოავლინეს. მათ შეძლეს პირველად საბჭოთა ელექტრომავალმშენებლობაში მიეღწიათ იმისათვის, რომ მუდმივი დენის სამგზგისტანო ელექტრომავლებისათვის განკუთვნილი წევის ძრავების გაბარიტში მოეთავსებინათ 25 პროცენტით მეტი სიმძლავრის ძრავი, ამასთან სერიული წევის ძრავის წონასთან შედარებით 700 კილოგრამით შეეფერები 30 პროცენტით უფრო მძლავრია, ხოლო ძრავის წონა ამასთან შემცირებულია 250 კილოგრამით. ამ ახალი სელმავლო აგრეგატული მანქანების კონსტრუირებაში თავი გამოიჩინეს წამყვანმა ინჟინერებმა ა. რაზმაძემ და ჯ. ცხადაძემ.

ცდამ დაადასტურა კონსტრუქტორების წინასწარი გაანგარიშება ელექტრომავლის წევის ძალის მნიშვნელოვნად გადიდების შესახებ. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ახალ ელექტრომავალზე გაუმჯობესებული, ჩვენი ქართული კონსტრუქციის წევის ძრავები საშუალებას იძლევიან ელექტრომავალმა დიდი ძალა განავითაროს მაღალი სიჩქარით მოძრაობის დროსაც. მაგალითად, საათში 100 კილომეტრი სიჩქარის დროს „ტ 8“-ს წევის ძალა 15.000 კილოგრამს უდრის, მაშინ როცა სერიული რვაღერძიანი ელექტრომავლის წევის ძალა ასეთივე სიჩქარის ვითარებაში 10.400 კილოგრამს არ აღემატება.

ახალ ქართულ ელექტრომავალზე მრავალი სხვა ტექნიკური სიახლეც არის განხორციელებული. მაგალითად, ელმავლის ძარა თავის მზიდავი ჩარჩოთი ეყრდნობა ურთიერთ შეუერთებელ ურიკებს, საიდანაც წევის ძალა გადაეცემა მატარებელს. სიახლეს წარმოადგენს ორსაფეხურიანი რესორული დაკიდება სპირალური რესორების გამოყენებით. პირველად არის ამ ელექტრომავალზე ლოკომოტივის დინამიკური თვისებების გასაუმჯობესებლად — ჰიდრავლიკური და ფრიქციული ამორტიზატორები.

ახალი ქართული ელექტრომავლის კონსტრუირებაში დიდი შრომა გასწიეს ქარხნის სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს მთელმა კოლექტივმა და ამ ბიუროს წამყვანმა კონსტრუქტორებმა — გ. გვანცელაძემ, ს. დესპოტაშვილმა, გ. ქავთარაძემ, გ. ნანიტაშვილმა, ა. წიკლაურმა და სხვ.

წამყვანმა კონსტრუქტორებმა ვ. ღვალაძემ და ჯ. გიორგაძემ თავი ისახელეს ელექტრომავლის სრულყოფილი ელექტრული სქემის ელექტრომავალზე ავტომატიზაციის ფართო დანერგვის საქმეში. ამ ელექტრომავლის შექმნაში განსაკუთრებით ისახელეს თავი საკონსტრუქტორო ბიუროს ხელმძღვანელმა ინჟინერმა გ. ქსოვრელმა, იმავე ბიუროს მთავარმა ინჟინერმა გ. ჭირაქაძემ.

ახალი ელექტრომავლის აწყობასა და გამოშვებაში კონსტრუქტორ ბ თ ა ნ ერთად დიდი მუშაობა გასწიეს ქარხნის მოწინავე მუშებმა ვ. პაპინაშვილმა, ა. მერაბიშვილმა, ჯ. მესტიაშვილმა, ა. კევლიშვილმა, შ. ნოზაძემ, გ. ჩაპლინსკიმ, ვ. გრიგალაშვილმა, ვლ. არბოლოვმა, შ. გიორგაძემ, ს. ვარძელაშვილმა, გ. აბიაშვილმა, რ. გეგელიამ და სხვ.

ახალი ელექტრომავლის გამოშვებაში აქტიურად მონაწილეობდნენ ქარხანაში მომუშავე ინჟინერ-ტექნიკოსები ი. ვერხვიაშვილი, ლ. ხერნოვი, ვ. ჩხიკვაძე, მ. დოლიძე, ავ. გლუნჩაძე და სხვ.

ახალი მძლავრი და გაუმჯობესებული ქართული ელექტრომავლის გამოშვება მნიშვნელოვანი წვლილია სამამულო ელექტრომავალმშენებლობის განვითარების საქმეში.

აპ. მასხარაშვილი,
თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელექტრომავალსამშენებლო ქარხნის მთავარი ინჟინერი.

• • •

სურათზე: ახალი ქართული ელმავალი „ტ 8“.

ცოდნის, გამოცდილების დიდი კერა

საცდელ-საჩვენებელი მეურნეობის პირველი ნაბიჯები

✦

პარტიის ახალი პროგრამის პროექტით დიდი ამოცანები, ნათელი პერსპექტივებია გადაშლილი სოციალისტური სოფლის მეურნეობის წინაშე. სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებისა და ტექნიკის შემდგომი განვითარებისათვის უანგარო ზრუნვამ მკაფიო გამოხატულება ჰპოვა პროგრამის პროექტში, რომელშიც ნათქვამია: „პარტია ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის მეცნიერების განვითარებას, წარმართავს მეცნიერთა შემოქმედებითს ღონისძიებებს სოფლის მეურნეობის ალმავლობის ძირეული საკითხების დასამუშავებლად, იბრძოლებს მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე საწარმოო გამოცდილების პრაქტიკულად გამოყენებისა და ფართოდ გავრცელებისათვის მიწათმოქმედებასა და მეცხოველეობაში“.

პროგრამის პროექტის განხილვისას სწორედ ამ მიზნადასახულობაზე გამამახვილეს ყურადღება მცხეთის რაიონის მუხრანის საცდელ-საჩვენებელი მეურნეობის მუშაკებმა. რას წარმოადგენს ეს მეურნეობა, როგორია პირველი ნაბიჯები და პერსპექტივები?

ვეებერთელა დაცემულ ვაკეს ჩარდახის სიმაღლეებიდან რომ გახედავ, გეგონება ქსანსა და არაგვს შუა უზარმაზარი ხალიჩა გაუფენიათ, რომელსაც თანდათანობით ეპარება ოქროსფერი — მსუყე და დოვლათიანი შემოდგომის ფერი. უცქერი მტევნებით დახუნძლულ ვაზებს, ნაყოფით დამძიმებულ ხეხილს, ბაღჩეულით აჭრელებულ მინდვრებს და გაკვირავ, რომ სწორედ _ აქ დაუბერტყავს ბუნებას სიუხვის კალთა.

სიმინდის შესანიშნავი ნათესები აქვს მუხრანის სასწავლო მეურნეობას. ეს მეურნეობა სამი-ოთხი თვის წინათ საცდელ-საჩვენებელ მეურნეობად გადაკეთდა. ახლა მას ეწოდება შრომის წოდელი დროშის ორდენოსანი საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სასწავლო-საცდელ-საჩვენებელი მეურნეობა.

და განა მარტო სიმინდს ყანებით იპყრობს ყურადღებას აქაურობა. მეურნეობას კარგად მოვლილ-დამუშავებული ვენახები, ბაღები, ბაღჩები აქვს. სანმუშოა მეცხოველეობის ფერმა. საერთოდ ამ მეურნეობისაგან კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკები ბევრ სასარგებლოს სწავლობენ და ნერგავენ.

ამ შემოდგომაზე მუხრანის მეურნეობას არსებობის 100 წლისთავი უსრულდება. ჩვენ შევეცდებით ღირსეულად აღვნიშნოთ ეს თარიღი. ახლა მოკლედ იმაზე, თუ რა არის ჩვენთან მთავარი, რა საკითხებს ექცევა ყურადღება. აქ განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ქლოროზით დაზიანებული ნაკვეთების შესწავლას და გამოსწორებას, აგრეთვე ვაზის სხვლა-ფორმირების გაუმჯობესებული წესების დანერგვას.

აქ წარმოებული სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგად, ინსტიტუტის მევენახეობის კათედრამ პროფესორ ვ. ქანთარიას ხელმძღვანელობით გარკვეული ცვლილება შეიტანა ვაზის საწარმოო ჯიშთა ასორტიმენტში, ასევე თვალსაჩინო წვლილი შეიტანა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატმა გ. გადახბაძემ, რომელმაც წარმატებით დანერგა ვაზის სხვლის ახალი მეთოდი.

მეურნეობის ეკონომიკაში მევენახეობას წამყვანი ადგილი უჭირავს. ვენახის ფართობზე გაშენებულია ვაზის შემდეგი საწარმოო ჯიშები: ჩინური, პინო, ალიგოტე, საფერავი, რქაწითელი და სხვ. ვენახის მასივი დაყოფილია ორ განყოფილებად — ვაზიანისა და ცენტრალურ განყოფილებად. ვაზიანის განყოფილებას 69,62 ჰექტარი უჭირავს, მათ შორის მოსავლიან 45 ჰექტარზე გეგმით გათვალისწინებული 55,6 ცენტნერის ნაცვლად 1960 წელს საშუალოდ ჰექტარზე მოღებულ იქნა 76 ცენტნერი ყურძენი. ცენტრალური ვენახის განყოფილება 29 ჰექტარია.

მეურნეობის დირექციამ მრავალი წლის დაკვირვების შედეგად შეიმუშავა ზამთრის პირობებში ვენახებისა და ხეხილის ბაღების რწყვის ხერხები, რომლებიც საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ შედგენილ მევენახეობის მოქმედ აგროწესებშია შეტანილი. მანვე დაამუშავა მექანიზაციის გათვალისწინებით მცირე დაქანების საკენახე ტერიტორიის ორგანიზაცია, რაც ითვალისწინებს საპლანტაციო გზებს შორის მანძილის გადიდებას.

მევენახეობაში მთავარი აგრონომის ს. მამაცაშვილის წინადადებით დაინერგა ვაზის მწკრივთა შორის დამუშავების ახალი მეთოდი. დარჩენილი გასათხნი ზოლების დასამუშავებლად გამოყენებულ იქნა „დტ-20“ მარკის ტრაქტორზე მოწყობილი სპეციალური ანსამბლი, რომელზეც დამატებით დაიდგა ცხენის ორი გუთანი მარჯვენა და მარცხენა ნაფურთევებით, ვენახის კულტივატორის სახნავი დგარი დაყენებული იქნა ისე, რომ ნაზურგი შეკრულიყო ვაზის მწკრივებში და მოესპო სარეველები. ამ მეთოდის გამოყენებით მეურნეობამ 1960 წელს 27.957 მანეთი დაზოგა.

მებოსტნეობაში დანერგილია ექვსმინდვრიანი საგარეუბნო ტიპის თესლბრუნვა, სადაც გამოყენებულია კულტურათა შემჭიდროება როგორც წინამორბედი, ისე მომდევნო კულტურების სახით. ასე რომ 6 ჰექტარი სბმოსტნე ფართობი გამოყენებულია 13 სხვადასხვა კულტურის მოსაყვანად.

მეცხოველეობის ფერმაში პირუტყვს დაუბმელად ვინახავთ. აღსანიშნავია, რომ ბაგურ-დაუბმელად პირუტყვის შენახვის ყველაზე იაფი პროგრესული მეთოდი რესპუბლიკაში პირველად აქ დაინერგა. ძროხების ძოვება საძოვრებზე წარმოებს ეგრეთწოდებული ელექტრომწყემსის გამოყენებით. ამ პროგრესულმა ღონისძიებებმა შესაძლებელი გახადა ფერმაში შეგვეცირებინა მუშახელი. მაგალითად, თუ წინათ 20 ფურსა და 40 მოზარდს 7 მუშა უვლიდა, ახლა 50 ფურსა და 84 მოზარდს უვლის 4 კაცი. მეცხოველეობის ფერმაში ამჟამად 176 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვია.

მუხრანის მეურნეობა პრაქტიკის ძირითადი ბაზაა სტუდენტებისათვის. ისინი პრაქტიკის ჰერიოდში ყოველდღე ფიზიკურად მუშაობენ 6 საათს, ხოლო 2 საათი დათმობილი აქვს სემინარებსა და კონსულტაციებს, რომლებსაც აწყობენ ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლები.

მეურნეობა დახმარებას სერიოზულად უწევს მცხეთის რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს. შექმნილია სამეცნიერო-ტექნიკური საბჭო, რომელშიც შედიან სოფლის მეურნეობის გამოჩენილი სპეციალისტები, კოლმეურნეო წარმოების ორგანიზატორები, შრომის ნოვატორები. ამას წინათ შედგა საბჭოს პირველი სხდომა, რომელსაც მრავალი საკითხი დაესვა. სხდომაზე [illegible] ... ეკითხეს დოცენტებმა ი. ჯანოველმა და ნ. [illegible] ... [illegible]

სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოს მომავალი საქმიანობის შესახებ საინტერესო წინადადებები წამოაყენეს პროფესორმა ი. ჯაშმა, მცხეთის რაიონის კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებმა შ. ავანაშვილმა, გ. ლიპარტიანმა, მ. ალხაზიშვილმა, დ. ბედუკაძემ, სასელეკციო სადგურის დირექტორმა მ. წულუკიძემ.

ახლახან მეურნეობის დირექციამ საქართველოს რაიონების სოფლის მეურნეობის მუშაკებს დაუგზავნა, მოსაწვევი ბარათები: — მობრძანდით, გელით, მზად ვართ გაგიზიართ ჩვენი გამოცდილებაო, — სწერენ მუხრანელები.

მუხრანის საცდელ-საჩვენებელი მეურნეობა ცოდნისა და გამოცდილების შესანიშნავი სკოლაა, სადაც ყველა გაიხარებს ადამიანის შრომის ნაყოფით, მეურნეობის იმ მაღალი დონით, რაზედაც ასე ღრმად არის მოთხრობილი მშობლიური კომუნისტური პარტიის ახალი პროგრამის პროექტში.

პ. მახარაშვილი,
საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სასწავლო-საცდელ-საჩვენებელი მეურნეობის დირექტორი.

ბ ებნისის (ქარელის რაიონი) საკოლმეურნეობათაშორისო მეფრინველეობის ფერმაში ყველა იცნობს ნანული შოშიაშვილს, როგორც ენერგიულ და თავისი საქმის მოყვარულ მეფრინველეს. იგი სანიმუშოდ ზვლის კვერცხმდებელ 2.000 ქათამს. შარშან მან თვითეულ ქათამზე სამასზე მეტი კვერცხი მიიღო. ნანული შოშიაშვილი ახლა თავდადებით შრომობს იმისათვის, რომ შვიდწლედის მესამე წელს სამშობლოს მისცეს შარშანდელზე მეტი კვერცხი.

ფოტო შ. კუკულავასი.

მომსახურება თუ ანგარება?!

საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოები გადავაქციოთ ადამიანთა მოთხოვნილების დაკმაყოფილების ძლავრ ბაზად

✦

მეზობლობა საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესება კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მუდმივი ზრუნვის საგანია. სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმზე ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა თქვა: „თანამედროვე პირობებში ყოველი ღონე უნდა ვეხმაროთ, რომ დავაკმაყოფილოთ ხალხის გაზრდილი მოთხოვნილებანი“.

სკკპ პროგრამის პროექტი განსაზღვრავს იმის გზებს, რომ განხორციელდეს პარტიის ლოზუნგი: ყველაფერი ადამიანისათვის, ადამიანის კეთილდღეობისათვის.

პროგრამის პროექტში ნათქვამია: „სკკპ სახავს მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის ამოცანას — უზრუნველყოფილ იქნას საბჭოთა კავშირში ყველაზე მაღალი ცხოვრების დონე კაპიტალიზმის ყოველ ქვეყანასთან შედარებით“.

მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლების დასახული გეგმების განხორციელებაში დიდი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებას, პირველ რიგში საყოფაცხოვრებო მომსახურების სახელოსნოების მუშაობის გარდაქმნას, მომსახურების მაღალ კულტურას, სახელოსნოების სწორ ორგანიზაციას, შესრულებულ სამუშაოთა მაღალ ხარისხს.

ძირითადად მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურება დავალებული აქვთ ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროს საწარმოებსა და ორგანიზაციებს ქალაქად და სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემას უმთავრესად სოფლად.

მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურება სანმუშოდ უნდა იქნეს დაყენებული როგორც ქალაქებში, ისე რაიონებში. არ უნდა იყოს დატოვებული არც ერთი დასახლებული პუნქტი, სადაც არ იქნება სახელოსნები მომსახურების უმთავრეს სახეობებში მაინც.

უკანასკნელ ხანს რესპუბლიკაში საგრძნობლად გაფართოვდა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა რიცხვი, გაიზარდა მათი მუშაობის მოცულობა. მთელ რიგ რაიონებსა და ქალაქებში, განსაკუთრებით რესპუბლიკის დედაქალაქში თბილისში გაიხსნა ბევრი კარგი საწარმო საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატების სახით. მაგრამ ამასთან ერთად ზოგიერთ რაიონსა და ქალაქში გახსნილი სახელოსნოების მუშაობა ჯერ კიდევ ვერ დგას სათანადო სიმაღლეზე და მათ ბევრი ნაკლი აქვთ, ხშირად სახელოსნოები გახსნილია ერთი ან ორი მომუშავით, სადაც ძნელდება მთლიანი ამონაგების აღრიცხვა, დაკვეთები ქვითრების გამოუწერლად სრულდება და ამონაგებს მომუშავენი ითვისებენ.

სახელოსნოების განლაგებაც ვერ უზრუნველყოფს მოსახლეობის გაზრდილი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას, მთელ რიგ საწარმოებში დარღვეულია აღრიცხვის არსებული წესები. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია მონადირეთა რაიონული საზოგადოებების საქმიანობა. ისინი სახელოსნოებს ხსნიან მხოლოდ შემოსავლის მიღების მიზნით, მიუხედავად იმისა, რომ სახელოსნოების არსებობისათვის უმეტეს შემთხვევაში ნედლეული და მასალები არ გააჩნიათ. გეგეჭკორის რაიონის მონადირეთა საზოგადოებამ გახსნა ტანსაცმლის სამკერვალო სახელოსნო. აქ იარაღ-მანქანები თვითონ ხელოსნებმა მოიტანეს. ისინი ვალდებული არიან ყოველდღიურად შეიტანონ მონადირეთა საზოგადოების სალაროში გარკვეული თანხა, ხოლო სახელოსნოში არავითარი აღრიცხვა არ წარმოებს. მიღებულ დაკვეთებზე ქვითრები არ იწერებოდა, არ არსებობდა პრეისკურანტი. ამრიგად, ხელოსნებს მონადირეთა საზოგადოების ბრით გახსნილი ჰქონდათ კერძო წარმოება.

სამტრედიის რაიონის ადგილობრივი მეურნეობის კომბინატის საყოფაცხოვრებო მომსახურების წარმოების დირექტორმა ტ. კოპალეიშვილმა 1961 წლის 19 იანვარს კომბინატის ფოტოპორტრეტისტად გააფორმა ჭ. სტალინოში მცხოვრები ვიმმე ა. ს. პლატკოვი. ეს უკანასკნელი სამტრედიიდან გაცემული მოწმობის საფუძველზე ფოტოსურათების გადიდებაზე დაკვეთებს იღებდა ბაშკირეთის ასსრ ქალაქ დაულეკანოვოს მოსახლეობისგან. კომბინატის დირექტორს ტ. კოპალეიშვილს ასეთი მოწმობები მიუცია კიდევ სხვა ორი პიროვნებისათვის, რომლებიც საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებსა და სოფლებში ეწევიან საეჭვო საქმიანობას. ეს ცნობები გაცემულია სარეწაო არტელ „გაერთიანებული შრომის“ ბლანკზე, მიუხედავად იმისა, რომ 1960 წლის ივლისიდან სარეწაო არტელები გაუქმებულია.

წყალტუბოს რაიონის ადგილობრივი მეურნეობის კომბინატის ფეხსაცმლის შემკეთებელ სახელოსნოში ყველა საჭირო იარაღი თვით ხელოსნებს ეკუთვნოდათ. ასევე არა აქვთ მიცემული სამუშაო იარაღები თერჯოლის რაიონის ცენტრისა და გარეუბნის საპარიკმახერო მუშაკებს. ისინი თავიანთი საკუთარი იარაღებით მუშაობენ, ფულს ხელზე იღებენ და ითვისებენ.

წითელწყაროს რაიონის სოფლის კოოპერატივის სამკერვალო სახელოსნოში 4 კაცი მუშაობდა ისე, რომ ბრძანებით არ იყვნენ გაფორმებული. ასეთივე მდგომარეობა იყო ვანის რაიონშიც. ამ რაიონის შუამთის სოფლის კოოპერატივის ცნობით (გამგეობის თავმჯდომარე წიქვაძე) საავეჯო სახელოსნოში მოუმაობს მხოლოდ ერთი ხელოსანი, შემოწმების დროს კი აღმოჩნდა ხუთი. აქედან ოთხი ხელოსნის მიერ შესრულებული სამუშაო აღრიცხული რჩებოდა, მიღებულ ფულს ითვისებდნენ სახელოსნოში მომუშავენი.

არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სახელოსნოების მუშაობისადმი კონტროლის მხრივ აგრეთვე უყარღის, ბორის, ზესტაფონის, სიღნაღის და ზოგიერთ სხვა რაიონში. სოფელ უკარეულში ადგილობრივი მეურნეობის კომბინატის ფოტოსახელოსნოს, სადაც მუშაობს ძ. კაზარიანი, საძი თვის განმავლობაში საღარაზი არავითარი ანახა არ ჰქონდა შეტანილი. ამავე კომბინატის ფეხსაცმლის შემკეთებელმა სახელოსნომ ამონაგების წლიური გეგმა მხოლოდ 28 პროცენტით შეასრულა, საუკეთესე საამქრომ კი 18 პროცენტით. ბორის რაიონის სამომხმარებლო კოოპერაციის ფეხსაცმლის შემკეთებელ ოთხ სახელოსნოში 16 დაკვეთა გაუტარებელი იყო, ხოლო კარალეთის სოფლის კოოპერატივის სახელოსნოებში მიღებულ დაკვეთებზე, როგორც წესი, სრულებით არ იწერებოდა ქვითრები. ზესტაფონის რაიონის ადგილობრივი მეურნეობის კომბინატის ექვს სახელოსნოში გამოვლინებულ იქნა ხელოსნების მიერ კერძოდ შეძენილი მასალიდან ახალი ფეხსაცმლის შეკერვის ფაქტები.

არის აგრეთვე შემთხვევები, რომ შეკვეთებს იღებენ ქვითრების გამოუწერლად, შესრულებულ სამუშაოზე კლიენტებს ზედმეტს ახდევინებენ, ცალკეული მუშაკები ამონაგებს ითვისებენ.

სიღნაღის რაიკოოპკავშირის საწარმოო კომბინატის ავტომანქანების შემკეთებელ სახელოსნოში შესაკეთებლად მიღებულ სამ ავტომანქანაზე გამოწერილი არ იყო ქვითარი.

საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებში აღრიცხვის არადამაკმაყოფილებლად დაყენების შედეგად სახელოსნოების მუშაკებს თვიური გამომუშავებით ხელფასი დარიცხული ჰქონდათ მეტად შემცირებული ოდენობით. მაგალითად, თერჯოლის რაიონის ადგილობრივი მეურნეობის კომბინატის ფეხსაცმლის შემკეთებელი სახელოსნოს და ვანის რაიონის ადგილობრივი მეურნეობის კომბინატის ავტოპროფილაქტიკის და ფეხსაცმლის შემკეთებელი სახელოსნოების მუშაკებზე მთელ რიგ შემთხვევებში ხელფასი დარიცხული იყო თვეში 24-დან 60 მანეთამდე (ძველი ფულით).

ორგანიზაციების ხელმძღვანელები დაქვემდებარებულ საწარმოებსა და ხელოსნებს შემცირებული ოდენობით განუსაზღვრავენ შემოსავლის კვარტალურ გეგმებს, რომელთა გადაჭარბებით შესრულებაც კი არ უზრუნველყოფს გამომუშავების მინიმუმს ცალკე ხელოსნებისათვის. წალენჯიხის ადგილობრივი მეურნეობის კომბინატის სამკერვალო საამქროს ხელოსანს ვ. კვარაცხელიას თვიური გეგმა 126 პროცენტით ჰქონდა შესრულებული, ხოლო ხელფასი დაერიცხა 15 მან. 10 კაპ. იქვე ხელოსან კაზაროვს გეგმა შესრულებული ჰქონდა 140 პროცენტით, ხოლო ხელფასი დაერიცხა 28 მანეთი, ქვაოცხაურს გეგმის 145 პროცენტით შესრულებისას — 14 მან. 60 კაპ.

შემცირებული ოდენობით გეგმების მიცემა ხელს უწყობს ხელოსნებისა და ცალკე მომუშავეების მიერ ბოროტმოქმედების ჩადენას.

მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესების მიზნით პრაქტიკაში დაინერგა კომბინატების ჩამოყალიბება, სადაც დამკვეთს შეუძლია მიიღოს სხვადასხვა სახის მომსახურება (ფეხსაცმლის, ტანსაცმლის, საათებისა და სხვა ნივთების შეკეთება და სხვ.). კომბინატების ჩამოყალიბებას ხელი უნდა შეუწყონ არა მარტო ქალაქებში, არამედ სოფლად, განსაკუთრებით რაიონულ ცენტრებში.

მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა მეურნეობა. ამ საწარმოთა მუშაობის გაუმჯობესებაში დიდ როლს ასრულებს საზოგადოებრივი კონტროლი.

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა გამო მოსახლეობა მიმართავს კერძო შინამრეწველ ხელოსნებს. შინამრეწველი ხელოსნები განსაკუთრებით ბევრია ზუგდიდის, თელავის, სამტრედიის, ახალციხის, სიღნაღის რაიონებში, ისინი მომსახურებას უწევენ მოსახლეობას ფეხსაცმლის შეკეთების, ტანსაცმლის შეკერვის, საოჯახო მოხმარების საგნების დამზადება-შეკეთების დარგში. ეს იმიტომ, რომ ამ სახის მომსახურება რაიონის სახელმწიფო ან კოოპერაციულ სახელოსნოებში სათანადო სიმაღლეზე ვერ დგას. ქალაქ გორში აგგვარი ბევრ მეურნეობის კომბინატი ყურადღებას არ აქცევდა საჭირო რაოდენობით კრამიტის დამზადებას. და მოსახლეობისათვის მიყიდვას, ამიტომ ამ სახის რეწვას მასობრივად აწარმოებდნენ კერძო პირები სპეციალურად მოწყობილ გამოსაწვავ ჭურებში.

თელავის რაიონში ბევრი კოლმეურნე ეწევა თიხის ჭურჭლის დამზადებას და რეალიზაციას, მაშინ როცა შეიძლებოდა ამ სახის საამქროთა გაფართოება ადგილობრივი მეურნეობის კომბინატში.

საჭიროა საფინანსო ორგანოებმა მუდმივი კონტროლი დაიწესონ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოების მუშაობაზე, სისტემატურად შეიამოწმონ ამ საწარმოთა სამეურნეო-ფინანსური საქმიანობა და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებში შეიტანონ სათანადო წინადადებანი ამ საწარმოთა მუშაობის გაუმჯობესების შესახებ. ასეთი შემოწმება უნდა წარმოებდეს წელიწადში ორჯერ მაინც.

მიზანშეწონილი იქნება, თუ აიკრძალება მთელი რიგი ისეთი შინამრეწველურ-ხელოსნური რეწვები, რომლებზეც მოსახლეობის მომსახურების მოთხოვნილებას მთლიანად აკმაყოფილებენ სახელმწიფო ატელიეები და სახელოსნოები.

გაშლილი კომუნისტური მშენებლობის პერიოდში მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესების საკითხებს დიდი მნიშვნელობა აქვს. საყოფაცხოვრებო მომსახურების ამ საწარმოებში აღრიცხვის მოწესრიგება და მათ მუშაობაში სრული წესრიგის დამყარება ხელს შეუწყობს მშრომელთა რეალური ხელფასის შემდგომ გადიდებას.

ვ. ტრაპაიძე,
საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრის პირველი მოადგილე.

სტრიქონები წერილებიდან

დ ი დ ი შრომითი აღმავლობაა ბათუმის რაიონის სალიბაურის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში. მეორე აგროგანყოფილების მეექვსე ბრიგადამ, რომელსაც ა. დაუტროკი ხელმძღვანელობს, უკვე შეასრულა ჩაის კრეფის წლიური გეგმა — ნაცვლად 27.700 კილოგრამისა მოკრიფა 27.763 კილოგრამი ჩაი.

სკკპ პროგრამის პროექტით აღფრთოვანებული მეჩაიეები თ. სხვიტარიძე, ტ. პუნდა, მ. პეტრიდი და სხვები ყოველდღიურ დავალებას დიდი გადაჭარბებით ასრულებენ.

ზ. დოლონაძე,
ბათუმი. სალიბაურის ჩაის საბჭოთა მეურნეობა. მეორე აგროგანყოფილების მმართველი.

წ ე ლ ს ვალდებულება ვიკისრე ჰექტარზე მივიღო 200 ცენტნერი სიმინდი მარცვლად. ეს დიდი ვალდებულებაა, მაგრამ რიგა ჩემს მიერ დამუშავებულ სიმინდის ყანას ვათვალიერებ, მწამს, რომ სიტყვას შევასრულებ.

მშობლიური პარტიის ახალი პროგრამის პროექტი, რომლითაც დასახულია კომუნიზმის აშენების დიადი ამოცანები, ძალას მმატებს ყოველდღიურ მუშაობაში.

კ. ჯოჯუა,
ხობი. შუა ხორგა. ენგელსის სახელობის კოლმეურნეობის მესიმინდე.

სკკპ პროგრამის პროექტს გულდასმით განიხილავენ აბაშის რაიონის კოლმეურნეობებში. ეს დღეები კოლმეურნეთა შრომითი დიდების დღეებად იქცა. — ვალდებულებას ვკისრულობ ორი ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მივიღო 100 ცენტნერი სიმინდი, — ამბობს ეწერის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მესიმინდე, სოციალისტური შრომის გმირი ი. ხოშტარია.

ეწერელ მესიმინდეებს არც სეფიეთელი და სხვა კოლმეურნეები ჩამორჩებიან შრომაში.

ი. თოფურია,
აბაშა. რაიონული გაზეთის რედაქციის პასუხისმგებელი მდივანი.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„კულაშელი ღვთისმსახურნი“

ჩვენს გაზეთში დაბეჭდილ კრიტიკულ წერილზე პარტიის სამტრედიის რაიკომის მდივანი ამხ. კ. შავიშვილი გვაცნობებს:

საქართველოს კპ სამტრედიის რაიკომმა შეისწავლა გაზეთ „კომუნისტის“ 27 ივნისის ნომერში დაბეჭდილი წერილი სათაურით „კულაშელი ღვთისმსახურნი“.

წერილში გამოკვეთნებული მასალები შემოწმებით მთლიანად დადასტურდა. რაიკომის ბიურომ დავალა რაისაბჭოს აღმასკომს უმოკლეს დროში გაიუქმოს სოფელ კულაშში არსებული ებრაელთა არარეგისტრირებული ერთი სინაგოგა და საჭონლის სასაკლაო. მომავალში საჭონლის დაკვლა იწარმოებს საერთო წესით — ხორცკომბინატში.

ბიურომ სამუშაოდან მოხსნა ხორცის გამყიდველები შალომ მიხეილის-ძე, ბესარიონ მენაშეს-ძე, რაფიელ მიხეილის-ძე და მიხეილ ეფრემის-ძე მირილაშვილები, რომლებიც ხორცს სპეკულაციური ფასებში ყიდდნენ.

რაიკომის ბიურომ მიიღო დ

გილოცავთ დღესასწაულს, რუმინელო მეგობრებო!

დღესასწაულის შესახვედრად

რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელები დიდი საწარმოო გამარჯვებით — გეგმების ვადამდე შესრულებით, ახალი ქარხნებისა და ფაბრიკების საექსპლოატაციოდ გადაცემით, პროდუქციის ზეგეგმითი გამოშვებით, მისი ხარისხის გაუმჯობესებითა და ასორტიმენტის გაფართოებით, შრომის ნაყოფიერების გადიდებით — ეგებებიან თავიანთ ეროვნულ დღესასწაულს — ფაშისტური უღლისაგან რუმინეთის განთავისუფლების დღეს.

23 აგვისტოს აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულება ხუნედოარის მეტალურგიული კომბინატის ახალი საგლინავი დგანის კოლექტივმა გადაჭარბებით შეასრულა: სამშობლომ მიიღო დამატებით 5 ათასი ტონა ნაგლინი. პლოეშტის პირველი მაისის სახელობის ნავთობის მოწყობილობის ქარხნის, ტირგოვიშტის გ. გეორგიუ-დეჟის სახელობის ქარხნისა და კომპინის მექანიკური ქარხნის კოლექტივებმა უკვე გეგმის გადამეტებით გამოუშვეს 10 მილიონი ლეის პროდუქცია. ბრაშოვის ქარხანამ უკანასკნელი შვიდი თვის განმავლობაში გეგმის გადამეტებით გამოუშვა იმდენი ფოლადი, რომლითაც შეიძლება დამზადდეს 3.580 ტრაქტორის დეტალები.

რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის საწარმოებმა გეგმის გადამეტებით გამოუშვეს 84 ათასი კვადრატული მეტრი ბამბის ქსოვილი, 65 ათასი კვადრატული მეტრი შალისა და აბრეშუმის ქსოვილი, 81 ათასი ქაშანურის ნაკეთობა, 12 ათასი წყვილი ტყავის ფეხსაცმელი.

გუჟარესტი მწვანე ქალაქია

გუჟარესტი ქალაქი-ბაღის შთაბეჭდილებას ტოვებს. ეს იმის შედეგია, რომ დიდი მუშაობა განხორციელდა ქალაქის კეთილმოწყობისა და მრავალი საზოგადოებრივი პარკისა და ბაღის, სკვერისა და მწვანე ნარგავების შესაქმნელად, რომელთა საერთო ფართობი დაახლოებით 700 ჰექტარია. წინანდელი უკაცრიელი ადგილების ნაცვლად წარმოშვა მშვენიერი კულტურისა და დასვენების პარკები, სადაც დედაქალაქის ათეულ ათასობით მცხოვრები ისვენებს ყოველდღიურად.

მარტო უკანასკნელი შვიდი თვის განმავლობაში ბუჟარესტის პარკებსა და ბაღებში დარგულია 4.200 ათასზე მეტი ყვავილი. გრძელდება მუშაობა ახალი პარკების გასაშენებლად 24,5 ჰექტარ ფართობზე. 1965 წლისათვის გათვალისწინებულია 1.400 ჰექტარამდე ავიდეს ბუჟარესტის მწვანე ნარგავების საერთო ფართობი.

საექსპორტოდ იგზავნება

რუმინეთის ფარგლებს გარეთ კარგადაა ცნობილი არადის გიორგი დიმიტროვის სახელობის სპეციალიზებულ ქარხანაში გამოშვებული რკინიგზის მოძრავი შემადგენლობა. რკინიგზის ვაგონები, რომელთაც არადის ქარხნის დამლა აქვთ, საექსპლოატაციოდ იგზავნება გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და ჩეხოსლოვაკიაში, არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკასა და საბერძნეთში, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასა და კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში და სხვა ქვეყნებში.

ამას წინათ ამ უდიდესი სამრეწველო საწარმოს ვაგონშემკეთებლებმა შექმნეს ახალი ტიპის მთლიანი ლითონის ვაგონი, რომლის ტვირთმზიდობა 110 ტონაა. ახალი ვაგონი უმთავრესად გამიზნულია მძიმე ელექტროტრანსფორმატორების გადასაზიდად.

დიმიტროვის სახელობის ქარხანა, რომელიც სახალხო ხელისუფლების წლებში მნიშვნელოვნად გაფართოებული და მოდერნიზებულია, აგრეთვე ორი სხვა დიდი ქარხანა, რომლებიც რკინიგზის ვაგონებს უშვებენ (ტურნუსევერის მექანიკური ქარხანა და ბუჟარესტის 23 აგვისტოს სახელობის ქარხანა) აწარმოებენ ორ და ოთხღერძიან ვაგონებს, დახურულ და ღია სატვირთო ვაგონებს, რომელთა ტვირთმზიდავობა 20 და 50 ტონაა, თვითგადმოსატვირთ ვაგონებს, 80-ტონიან ოთხღერძიან ბაქნებს, 72-ადგილიან სამგზავრო ვაგონებს, ცისტერნებს.

სახალხო ხელმარჯვენი

კარპატების ირემი რუმინეთის ალპური ფაუნის ერთ-ერთი ყველაზე ძვირფასი ეშვიათობაა. მაგრამ კარპატის თვალწარმტაც კუთხეში — ტრანსილვანიის აღმოსავლეთ ნაწილში, ტუშნადში, ნახავთ პაწაწკინტელა ირემს: მისი სიგრძე 1,5 მილიმეტრია, სიმაღლე კი დაახლოებით 1 მილიმეტრი. ეს ჭეშმარიტად ეშვიათი ნაკეთობა ხისგანაა გამოკვეთილი. ფიგურა, რომელიც ზუსტად წარმოსახავს გადასახლომად მომზადებულ ირემს, ძველი სახალხო ხელმარჯვის ანდრია ბოკორის ნახელავია. ორი წელიწადი მოუნდა იგი იმას, რომ შეექმნა ეს მინიატურა, რომელიც განსაკუთრებული ოსტატობითაა შესრულებული.

23 აგვისტო რუმინელი ხალხის ეროვნული დღესასწაულია

✦

ბოკორის ოჯახი ფართოდ ცნობილია რუმინეთში საკუთარი ნამუშევრებით. მისმა ვაუმა ივანემ ხისგან გამოკვეთა მთის თხები, როშელთაც მონადირე ძალლების ჯგუფი ძოსდევს. მთელი ეს ნამუშევარი ფუტკრის ოდენაა. ანდრია ბოკორის ქალიშვილმა, 23 წლის მართამ ხისგან გაკეთა მაისის ხოკო, რომლის ზომა ქიაძისთავის თავს არ აღემატება.

რუმინეთის გამოფენაზე და ხელოსნური ნაწარმის მაღაზიებში ნახავთ ხელოვნების მრავალ ასეთ ნაწარმოებს — სახალხო ხელმარჯვეთა ნამუშევრებს. ათეულ ათასობით სახალხო მხატვარი ქვის მრავალ ნაკეთობას ძვლის, კერამიკის, ტყავის, ლითონის, ხის, ლერწმის, თივის, პლასტმასისა და მინისაგან.

საკმაოდაა ცნობილი რუმინული ნაჭარგები და მაქმანები, ზარდახშები და ხალიჩები.

რუმინელ სახალხო ხელმარჯვეთა ოსტატობა ცნობილია მთელ მსოფლიოში. ოსტატურად შესრულებული საგნები გაჩქვთ სსრ კავშირსა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ინგლისსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში, კანადასა და ჰოლანდიაში, საფრანგეთსა და სხვა ქვეყნებში.

ზღვის მშვენება

კონსტანცა — რუმინეთის მთავარი საზღვაო ნავსადგური დიდი საერთაშორისო ნავსადგურების ბობოჭარი ცხოვრებით ცხოვრობს. ამ დღეებში ნავმისადგომებთან რუმინეთის გემების გვერდით დგას მრავალი გემი, რომლებზეც აღმართულია სხვადასხვა ქვეყნის ალმები. რუმინეთის სატვირთო გემი „იასი", რომელიც ბრემენსა და ანტვერპენში დადის, გადმოტვირთავს მოტანილი ნაგლინს. გემები „დუკლა" (ჩეხოსლოვაკია) და „ლას ვილასი" (კუბა) ტვირთავენ სხვადასხვა საქონელს, ხოლო იტალიის გემი „რონდა" — დახვრილ ხე-ტყეს. ნავსადგურში ღუზა აქვთ ჩაშვებული ბულგარეთის, საბერძნეთისა და სხვა ქვეყნების გემებს.

მომდინარე წლის პირველ შვიდ თვეში კონსტანცის ნავსადგურში ყველა კონტინენტის ათეულობით ქვეყნის რვაასზე მეტმა გემმა გაიარა, 200-ით მეტმა, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში.

ტვირთბრუნვის განუწყვეტელი ზრდის შესაბამისად კონსტანცის ნავსადგურს მომდინარე წელს შეემატა ახალი მოძრავი ამწეები, ავტომაწყობები და სხვა მანქანები. ახლა ამონტაჟებენ დიდი ტვირთამწეობის კიდევ ოთხ პორტალურ ამწეს.

რადიომიმღები ყოველ ორ წუთში

ამ დღეებში ბუჟარესტის ქარხანა „ელექტრონიკის" სამონტაჟო კონვეიერიდან გადმოვიდა რადიომიმღები, რომლის ნომერია 1.000.000. ცამეტი წელიწადი გავიდა იმ დღიდან, რაც გამოუშვეს პირველი რუმინული რადიომიმღები „რეკორდი". ამ ხნის განმავლობაში განვლილია სახელოვანი გზა. მნიშვნელოვნად განვითარდა რადიოტექნიკური მრეწველობა — სახალხო-დემოკრატიული წყობილების პირმშო. ახლა მარტო ერთი ქარხანა „ელექტრონიკა" ყოველ ორ წუთში უშვებს რადიომიმღებს. სულ ამ რამდენიმე ხნის, რაღაც ოცდაოდე წლის წინათ რუმინეთში იყო მხოლოდ ერთი სახელოსნო ჰოლანდიის კონცერნის „ფილიპსისა", რომელიც აწარმოებდა... რამდენიმე ასეული აპარატს ყოველთვიურად. მიმდინარე წლის საწარმოო გეგმა ითვალისწინებს, რომ რუმინეთის მრეწველობა გამოუშვებს 220 ათას რადიომიმღებს.

სახეს იცვლის...

სახეს იცვლის რუმინეთის დედაქალაქი — ბუჟარესტი, მშრომელთა თვალწინ ქრება წარსულის კვალი. უკანასკნელი ორი წლის მანძილზე ბუჟარესტის ცენტრსა და მის უოფილ გარეუბნებში წარმოიშვა დიდი თანამედროვე მრავალსართულიანი სახლები, რომლებშიც 10 ათასი ბინაა.

დამთავრდა დედაქალაქის ერთ-ერთი ულამაზესი შენობის — 17-სართულიანი სახლის მშენებლობა ქალაქის ერთ-ერთ მაგისტრალზე — კალინა ვიქტორიაზე. სახალხო ხელისუფლების წლებში ბუჟარესტში აშენდა კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების მთელი რიგი მონუმენტური შენობები, მათ შორის ოპერისა და ბალეტის თეატრი, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის სასახლის ახალი დარბაზი, რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სტუდიები და საკონცერტო დარბაზი, სავადმყოფო „ფუნდენი", ახალგაზრდების ხუთი რაიონული კულტურის სახლი, 23 აგვისტოს სახელობის სტადიონი და სხვ.

მომდინარე წელს დაიწყება პოლიტექნიკური ინსტიტუტის, უნივერსიტეტის, კლინიკებისა და სხვა შენობების მშენებლობა.

• • •

სურათზე: რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი დიენი, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე გეორგე გეორგიუ-დეჟი. სურათი გადაღებულია თბილისში 1961 წლის 8 აგვისტოს.

ფოტო ბ. დადვაძისა.

ბუჟარესტი. რესპუბლიკის მოედანი.

სულით ძლიერნი

ციხის კედლები მეტყველებენ რუმინელი კომუნისტების ბრძოლაზე

როცა საქართველოს მოჭადრაკეთა სპორტული დელეგაცია მასპინძლებს კურორტ სინაიის დასთვალიერებლად მივყავდით, მდინარე დოფტანას ხეობაში ყველას უურადღება მიიპყრო მაღალ გორაკზე აღმართულმა ციხე-სიმაგრემ.

— მართლაც, — გამოგვეპასუხა ძველი რუმინელი კომუნისტი, ფიზიკულტურული მუშაკი ბ. ფლეიშერი, რომელიც მეგზურად გვახლდა. — ამ ციხის მდებარეობა ყველას ხიბლავს. მისი ისტორია რუმინელი კომუნისტების ძლიერი სულის მდუმარე მოწმეა. 1948 წლიდან ციხე, რომელსაც დოფტანა ჰქვია, მუზეუმად არის გადაქცეული. ჩვენ ვნახავთ მას.

ციხის ალაყაფის კარებმა და შენობის ნესტიანმა კედლებმა შესვლისთანავე გვაგრძნობინა შორიდან გულისმომწადირებელი კოშკის მთელი საშინელება.

ციხე 1894-97 წლებში აუგიათ საშინაო ბოროტმოქმედთათვის ბელგიელ ინჟინრების პროექტითა და ხარჯით. შენობას ზემოდან ნალის გამოსახულება აქვს. იგი ცადაბჯენილი კედელით არის შემოზღუდული, ხოლო შიგნით დაყოფილი იყო რამდენიმე სექციად, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ პატიმრებისათვის პირობების სიმძიმით. ყველაზე შემზარავი შთაბეჭდილება დატოვა უსინათლო საკნებმა (ცარცეებმა) კოკეიამდე წყლის იატაკით და სველი კედლებით. ციხეში 36% ოთახი იყო.

— ამ ციხეში, — მოგვითხრო გიდმა, — ათეული წლების მანძილზე იტანჯებოდნენ რუმიელი კომუნისტები. აქ ისხდნენ მათი ხელმძღვანელებიც — გეორგე გეორგიუ-დეჟი, კოჯუ სტოიკა და სხვები. სხოოოდ მათი ინიციატივით ციხეში წარმოებდა იატაკქვეშა მუშაობა. გეორგიუ-დეჟეა აქ ოუძინელი კომუნიატების ყრილობაც კი გამართა.

— ოოგორ, ციხის პირობებში? — ვიკითხეთ გაკვირვებით.

— დიახ, პატიოა ოთახში, სადაც პატიმრები სადუოგლო ხელსაწყოებსა და ალალებს იღებდნენ, რომდენიმე დღე თავს იყრიდა სამ-სამი, ოთხ-ოთხი კაცი და ხუთ-ათი წუთი, სანამ ზედამხედველი გაივლ-გაიოვლიდა დერეფანს, დელეგატები მსჯელობდნენ, ამუშავებდნენ პარტიის გეგზა მომავალი პერიოდისათვის. ყრილობის რეზოლუცია, ისე როგორც პარტიის ყველა მნიშვნელოვანი, მათ კოლსპირატიული წესით გადასცეს გარეთ მყოფ ამხანაგებს საველმძღვანელოდ.

როგორც წესი, კომუნისტებს ციხეში ხელ-ფეხზე რკინის ბორკილები ჰქონდათ დადებული, ჩვენ ვნახეთ ეს რკინის „სამკაულეები", რომლებიც 4-5 კილოგრამს იწონის. საერთოდ პატიმრებს ძალიან მკაცრად ექცეოდნენ. რუმინელმა პოლიციელებმა არ იკმარეს თავიანთი სამკაცრე. მეორე მსოფლიო ომის წლებში დოფტანაში ციხის უფროსად სპეციალურად მოიწვიეს გესტაპოელი პოლკოვნიკი, მაგრამ გეორგიუ-დეჟისა და მისი ამხანაგების ვაჟკაცური სული ვერც ფაშისტის სიმხეცემ გატეხა და ვერც ძალადობამ.

— კომუნისტისათვის დამახასიათებელი სიმხნევე და სიმტკიცე გამოამჟღავნა გეორგე ბუჟორმა, — გახსოვრდა ჩვენმა მეგზურმა. — გ. ბუჟორი, როგორც პარტიის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, ნებარე კომუნისტი—დაეშუნჯებინათ იგი. აძიტომ ზედამხედველად განგებ ყრუმუნჯი მიუჩინეს. ათი წლის მანძილზე გ. ბუჟორს კაცის ხმა არ გაეგონა. ამ თითქოს ლაბორატორიც დავიუნდა. მაგრამ გ. ბუჟორმა შეინარჩუნა დიადი სულის გონება და რწმენა. ციხე 87 წლის გ. ბუჟორი რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრია.

ციხის ყოველი კუთხე, საკანი, ოთახი, ნიეთი ძეტყველებს რუმინელი კომუნიატების ბრძოლაზე. ციხის ნაწილი ახლაც არის ჩანგრეული. 1940 წლის 7 და 10 ნოემბერს სამინელმა მიწისძვრამ დაამსხვრია დოფტანას კედლები, რომელთა ქვეშ მოჰყვა მრავალი კომუნისტი და კომკავშირელი. დაღუპულთა შორის იყო რუმინეთის კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ერთ-ერთი მდივანიც. უბედურების დროს ციხიდან არც ერთი კომუნისტი არ გაქცეულა. ისინი გეორგიუ-დეჟის მოწოდებით ეხმარებოდნენ დაზარალებულ ამხანაგებს. გაქცევას დახვრეტა მოჰყვებოდა, რაც მოსახობდა ძვირფას პარტიულ კადრებს, რომლებიც ბრძოლის გადამწყვეტ მომენტში საჭირო იქნებოდნენ. მტრებს ვერ გაეგოთ კომუნისტების მანევრი.

ბევრი ვიარეთ ციხე-მუზეუმში, გულდასმით ვეცნობოდით მის წარსულს, გამოფენას, დოკუმენტებს, სურათებს, გამოთხოვებისას შთაბეჭდილებათა წიგნში გამოვხატეთ რუმინელი კომუნისტებისა გმირული ბრძოლით გამოწვეული ჩვენი აღტაცება.

ავტობუსი კვლავ მიგვაქროლებდა სინაიაკენ. ყველა დუმდა, ყველა ფიქრობდა იმაზე, თუ რა შეუძლიათ ძლიერი სულის ადამიანებს — კომუნისტებს, როცა იღწვიან მშობლიური ხალხის თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის.

თ. გიორგაძე.

შეწყდეს აგრესია ტუნისში!

გენერალური ასამბლეის სპეციალური სესია

✦

ნიუ-იორკი, 21 აგვისტო. (საკდესი). დღეს გაიხსნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სპეციალური სესია, რომელიც 52 ქვეყნის დელეგაციათა მოთხოვნით მოწვეულია ბიზერტის საშიში მდგომარეობის განსახილველად, რაც შეიქმნა საფრანგეთის აგრესიული მოქმედების შედეგად.

დილის სხდომაზე პირველი გამოვიდა ტუნისის წარმომადგენელი მონჟი სლიმი. ტუნისის ხალხისა და მთავრობის სახელით მან გულთბადი მადლობა გადაუხადა 52 ქვეყანას, რომლებმაც მხარი დაუჭირეს ტუნისის თხოვნას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალურის სესიის მოწვევის შესახებ. შემდეგ მან ამხილა საფრანგეთის აგრესია ტუნისის წინააღმდეგ.

დასასრულ მონჟი სლიმმა გადაჭრით მოითხოვა, რომ დაუყოვნებლივ განხორციელდეს უშიშროების საბჭოს წინასწარი რეზოლუცია ცეცხლის შეწყვეტის შესახებ.

აფრიკა-აზიის ქვეყნების ჯგუფისა და იუგოსლავიის სახელით ლიბერიის წარმომადგენელმა ასამბლეას განსახილველად შეიტანა რეზოლუციის პროექტი. პროექტში ხაზგასმულია, რომ საფრანგეთის შეიარაღებული ძალების ყოფნა ტუნისის ტერიტორიაზე ტუნისის მთავრობისა და ხალხის ნებაასურვილის საწინააღმდეგოდ არღვევს ტუნისის სუვერენიტეტს, წარმოადგენს საერთაშორისო დაძაბულობის მუდმივ წყაროს და საფრთხეს უქმნის საერთაშორისო მშვიდობასა და უშიშროებას. რეზოლუციის პროექტში დადასტურებულია უშიშროების საბჭოს წინასწარი რეზოლუცია ცეცხლის შეწყვეტის შესახებ და წამოყენებულია მოთხოვნა, რომ საფრანგეთის მთავრობამ მოლიანად განახორციელოს ამ რეზოლუციის დადგენილება. გენერალური ასამბლეა, ნათქვამია შემდეგ რეზოლუციაში, ცნობს ტუნისის სუვერენულ უფლებას — მოითხოვს საფრანგეთის მთელი შეიარაღებული ძალების გაყვანას, რომლებიც მის ტერიტორიაზე იმყოფებიან ტუნისის თანხმობის მიუღებლად, და მოუწოდებს საფრანგეთისა და ტუნისის მთავრობებს დაუყოვნებლივ დაიწყონ მოლაპარაკება, რათა შეიმუშაონ მშვიდობიანი შეთანხმებული ღონისძიებანი ტუნისის ტერიტორიიდან საფრანგეთის მთელი შეიარაღებული ძალების გაყვანის უზრუნველსაყოფად.

ამით დამთავრდა გენერალური ასამბლეის სპეციალური სესიის დილის სხდომა.

ნიუ-იორკი, 22 აგვისტო. (საკდესი). გუშინ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სპეციალური სესიის დღის სხდომაზე გამოვიდა საბჭოთა კავშირის წარმომადგენელი პ. დ. მოროზოვი.

აფრიკისა და აზიის თითქმის ყველა სახელმწიფომ, ლათინური ამერიკისა და ევროპის სახელმწიფოთა ნაწილმა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრმა ყველა სოციალისტურმა სახელმწიფომ, თქვა საბჭოთა დელეგატმა, მოითხოვეს გენერალური ასამბლეის ამ სპეციალური სესიის მოწვევა. გაერთიანებული ერების წევრ სახელმწიფოთა უმეტესობის ეს დიდმნიშვნელოვანი კოლექტიური აქცია ცხადყოფს, თუ რა ღრმა აღშფოთებას იწვევს მთელი მსოფლიოს ხალხებში ფრანგი კოლონიზატორების აგრესია ტუნისის რესპუბლიკის წინააღმდეგ. საბჭოთა ხალხმა და საბჭოთა მთავრობამ, ხაზი გაუსვა მოროზოვმა, გადაჭრით დაგმეს საფრანგეთის მოქმედება ბიზერტის რაიონში, როგორც ტუნისის წინააღმდეგ აგრესიის აქტი, მისი სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის დარღვევა, როგორც მოქმედება, რომელიც საფრთხეს უქმნის მშვიდობას ჩრდილოეთ აფრიკისა და ხმელთაშუა ზღვის რაიონში. საბჭოთა კავშირი მტკიცედ და თანმიმდევრულად უჭერს მხარს იმ ხალხთა ღონისძიებებს, რომელნიც იბრძვიან თავიანთი ეროვნული დამოუკიდებლობის გამტკიცებისათვის, თავისი სამხედრო ბაზების ლიკვიდაციისათვის, აგრესიული სამხედრო ბლოკებისა და კავშირების გაუქმებისათვის.

ბიზერტის რაიონის ამბები, განაგრძო საბჭოთა დელეგატმა, კვლავ ცხადყოფენ, რომ დასავლეთის სახელმწიფოთა სამხედრო ბაზები სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიებზე ისახავენ აგრესიულ იმპერიალისტურ მიზნებს, ძირს უთხრიან ამ სახელმწიფოთა სუვერენიტეტსა და დამოუკიდებლობას და საერთაშორისო კოხფლიქტების საშიში კერენია. უცხოელთა ბაზების არსებობა სხვის ტერიტორიებზე შეუწყნარებელი დარღვევაა დეკლარაციისა კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მე-15 სესიამ მიიღო.

საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა ყურადღება მიაპყრო იმაზე, რომ მოსკოვში საჯაროდ გამოქვეყნებული საიდუმლო დოკუმენტები, რომლებიც სენტოს წიაღში მოამზადეს, ახალ შუქს ფენენ სამხედრო ბლოკების ორგანიზატორთა დანაშაულებრივ ზრახვებს. ამ ზრახვათა ერთ-ერთი ძირითადი ელემენტია სამხედრო ბაზების გამოყენება სხვის ტერიტორიებზე.

საბჭოთა კავშირი, განაცხადა საბჭოთა დელეგატმა, კვლავაც მხარს დაუჭერს ტუნისს როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებში, ისე მის ფარგლებს გარეთაც თავისი დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის ბრძოლაში.

შემდეგ გამოვიდნენ ირანის, ცეილონის, განის, მალის, ინდოეთისა და სენეგალის დელეგატები. ყველა მათგანმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საფრანგეთის ჯარების ყოფნა ტუნისის ტერიტორიაზე, ამ ქვეყნის მთავრობისა და ხალხის მკაფიოდ გამოხატული ნება-სურვილის წინააღმდეგ, ტუნისის სუვერენიტეტის შეუწყნარებელი დარღვევაა.

ტრიო..
ნახ. ა. გრუნინისა.
საკდესის ფოტოქრონიკა.

პროვოკაციები გრძელდება

ბერლინი, 21 აგვისტო. საკდესის კორესპონდენტი ვ. სელეზერსტოვი იუწყება:

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სამართლიან დასაცავ ღონისძიებათა წინააღმდეგ გაბრაზებულმა დასავლეთბერლინელმა ომის გამჩაღებლებმა მოაწყეს პროვოკაციული აქტების სერია იმ მიზნით, რომ ააფორიაქონ ქალაქის მოსახლეობა, კიდევ უფრო გაიგვიანონ „ცივი ომის" ისტერია. დასავლეთ ბერლინში ერთადერთი დემოკრატიული გაზეთის „დი ვარჰაიტის" რედაქციაზე ბანდიტური თავდასხმების შემდეგ ბრანდტის პირადი მითითებით დასავლეთ ბერლინში დაიხურა დემოკრატიული გერმანული პრესის ბიურო. დღეს დასავლეთ ბერლინის გაზეთებში გამოქვეყნდა ცნობა, რომ მომავალში სოციალ დემოკრატიული პარტიის მიერ მოწყობილი ღონისძიებებზე არ დაუშვებენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრესის წარმომადგენლებს.

ორგანიზებული „შეტევა" მოიწყო ბერლინის საქალაქო რკინიგზის წინააღმდეგ, რომელიც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საკუთრებაა. ამ რკინიგზის ბევრ სადგურთან, რომლებიც განლაგებულია დასავლეთ ბერლინში, დღეგან 8 მარკად დაქირავებული „მოპიკეტეები", მათ აქვთ პლაკატები, რომლებიც მოუწოდებენ ბოიკოტი გამოუცხადონ გზას. დასავლეთ ბერლინის მცხოვრებთა დასაშინებლად, რომლებსაც, არა სურთ უარი თქვან მოხერხებული სახეობის ტრანსპორტზე, მოიწყო ხულიგანთა თავდასხმები გზის ნაგებობებსა და გზაში მყოფ მატარებლებზე.

დღეს ბერლინში გაიმართა პრეს-კონფერენცია, რომელზეც გზის სამმართველოს წარმომადგენლებმა უამბეს ჟურნალისტებს, რომ გასულ კვირაში დასავლეთ ბერლინში რამდენჯერმე დაეხსნენ თავს მატარებლებს. დაქირავებულმა ხულიგნებმა ქვით ჩალეწეს ვაგონების ფანჯრები, დაამსხვრიეს საჭდომები და კარები, ემუქრებოდნენ მგზავრებსა და მომსახურე პერსონალს. მაგრამ რკინიგზის მუშები და დასავლეთ ბერლინის მოქალაქეები არ ამყვნენ ამ პროვოკაციებს. მაშინ როცა დასავლეთ ბერლინის პოლიცია უმოქმედოდ იყო, რკინიგზელებმა მგზავრების დახმარებით დაეშოშმინეს ხულიგნები. პრეს-კონფერენციაზე მოყვანილ იქნა დასავლეთ ბერლინის მოქალაქეთა განცხადებანი, რომლებიც გმობენ დასავლეთ ბერლინის ხელისუფალთა მოქმედებას.

დიდი სამხედრო მანევრები

ბონი, 21 აგვისტო. (საკდესი). დასავლეთ გერმანიაში დაიწყო ამერიკის საჰაერო სადესანტო ჯარების ყველაზე დიდი მანევრები, რომელიც კი ათ თვეზე მეტ გაუძართავთ ამერიკის შეერთებული შტატების ფარგლებს გარეთ. ძახეკოეი დაიწყო მსროელელი პარაშუტისტების საჰაერო დესანტით და იმით, რომ პარაშუტებით მძიმე შეიარაღება ჩამოყარეს ზეციდან პოლიგონზე.

მანევრები, რომლებიც ათ დღეს გაგრძელდება, ეწრელდება აგრეთვე საფრანგეთის ტერიტორიაზე. მანევრებში ინონეულიმები ამერიკის მე-8 ქვეითი დივიზიის 5.000 ჯარისკაცი, აგრეთვე 322-ე საჰაერო-სადესანტო დივიზია. სადესანტო ოპერაციაში მონაწილეობს ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალების მრავალი ოთხმოტორიანი სატრანსპორტო თვითმფრინავი და ვერტმფრინავები. როგორც პრესა აღნიშნავს, საჰაერო დესანტის გადმოსხმის დროს დაიჭრა 20 ჯარისკაცი, ორი პარაშუტი, რომლებშიც სამხედრო სპეციალისტი იყო, არ გაიშალა და ტვირთი დაიმსხვრა.

ტელეგრაფი გვატყობინებს

დასავლეთ ბერლინში 35 საათის ყოფნის შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტი ჰუბერტ ჰუმფრი ვაშინგტონს გაფრინდა.

△ **კენიის** ეროვნული ლიდერის, აფრიკის თავისუფლებისათვის გამოჩენილი მებრძოლის ჯომო კენიატას განთავისუფლების დროს ინგლისის ხელისუფლებმა ერთგვარი შეზღუდვა დაუწესეს მას. ამჟამად ეს შეზღუდვები მოეხსნა. კენიატას შესაძლებლობა მიეცემა წავიდეს კენიის ყოველ ნაწილში, რათა მონაწილეობა მიიღოს მიტინგებსა და კრებებში.

△ **დასავლეთ** გერმანიის სამხედრო-საზღვაო ფლოტს მიაწვდიან გაზის ტურბინებს, რომლებსაც აწარმოებენ ინგლისური ფირმები „ბრისტოლ-სიდლი" და „ეოსპერი". გერმანიის ფლოტი აპირებს გამოიყენოს ინგლისის გაზის ტურბინები თავის ახალ დიდ საესკადრო ნაღმოსნებსა და სწრაფმავალ საგუშაგო კატერებზე. ახალი საესკადრო ნაღმოსნები აღჭურვილი იქნება მართული უუმბარებით, ზარბაზნებითა და ნავსაწინააღმდეგო მორტირებით.

△ **ამერიკის** შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის თანაშემწე აფრიკის საქმეებში მენენ უილიამსი, რომელიც ახლა აფრიკის ქვეყნებში მოგზაურობს, ჩავიდა მალგაშის რესპუბლიკის (მადაგასკარის კუნძული) დედაქალაქ ტანანარივეში. (საკდესი).

ლტოლვილები

ბერლინი, 21 აგვისტო. (საკდესი). დასავლეთ გერმანიისა და დასავლეთ ბერლინის მცხოვრებთა გადასვლა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გრძელდება. როგორც ადნის სააგენტო იუწყება, მარტო ლტოლვილთა მიმღებ ერთ-ერთ ბანაკში — პრიცირში (შვერინის ოლქი) აგვისტოს პირველი ნახევრის მანძილზე ჩავიდა თითქმის იმდენი ლტოლვილი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან, რამდენსაც ეს ბანაკი დღემდე საშუალოდ ყოველ თვეში იღებდა. განსაკუთრებით გაიზარდა ლტოლვილთა დენა დასავლეთ ბერლინიდან. ოთხი დღის განმავლობაში მას შემდეგ, რაც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ განახორციელა თავისი საზღვრების დაცვის ღონისძიებანი, დასავლეთ ბერლინიდან პრიცირში ჩავიდა 65 ლტოლვილი. მათმა მეტმა წილმა განაცხადა, რომ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მათი გადმოსვლის მიზეზია აუტანელი ატმოსფერო, რაც სუფევს „ფრონტის ქალაქში", ახალი ომის აშკარა პროპაგანდა, რასაც იქ ეწევიან, რევანშისტული და მილიტარისტული ელემენტების ყვირილი „შურისძიების" შესახებ.

ასამბლეა ტუნისში

ნიუ-იორკი, 21 აგვისტო. (საკდესი). ბიზერტის ამბავი, ამბობენ, ეს ერთ-ერთი ბოლოდროინდელი ინციდენტია

პ. ტოლიატი სწერს ნ. კუბლაშვილს

ბრძოლა იტალიის მთებში

✦

ნოე კუბლაშვილი ამჟამად პენსიონერია და ქვიშხეთში ისვენებს, მაგრამ კვირა არ გავა, რომ ერთხელ მაინც არ ეწვიოს რუსთავს, რომლის აშენებაში თავის წვლილი აქვს შეტანილი.

გასულ კვირასაც ასე მოხდა. შვილების, ნაცნობებისა და მეგობრების ნახვით გული რომ იჯერა, მტკვრის მარჯვენა ნაპირას გავიდა. აქ ფართო მასშტაბით მიმდინარეობს საცხოვრებელი სახლების მშენებლობა. გამოცდილმა მშენებელმა ბევრი საყურადღებო შენიშვნა და მითითება მისცა ახალგაზრდა კოლეგებს. დამშვიდობებისას უთხრა:

—რაც უფრო კარგად აშენებთ, ბიჭებო, მით უფრო დააფასებენ თქვენს შრომას თქვენი შვილები და შვილიშვილები.

ესაუბრებით ამ ჭაღარა, სანდომიანი სახის კაცს და რწმუნდებით, რომ მას ცხოვრებაში ბევრი რამ საინტერესო და მნიშვნელოვანი გადახდომია.

• • •

ახალგაზრდა სპეციალისტების ქუჩა № 2. აქ ცხოვრობს ნოე კუბლაშვილი. ერთი თვის წინ ამ მისამართით ამანათი მოვიდა. ადრესატმა სწრაფად გახსნა ის და ვიდრე კითხვას შეუდგებოდა, თვალწინ წარმოუდგა იტალიაში გატარებული წლები. წერილს, რომელიც გამოგზავნილია იტალიის კომუნისტთა ხელმძღვანელის პალმირო ტოლიატის დავალებით, ხელს აწერს კომპარტიის სამდივნოს მუშაკი ალესანდრო ლუკარელი.

„ძვირფასო ამხანაგო კუბლაშვილო! გარიბალდის სახელობის პარტიზანული ბრიგადის უფროსს მოსკატელს ახსოვს, რომ დიდი სამამულო ომის დროს მის ხელმძღვანელობაში იმყოფებოდა ქართველების ბატალიონი—150 კაცი, რომელთა შორის თქვენ იყავით იტალიის განთავისუფლებისათვის მებრძოლი ლეგიონის უფროსის მოადგილედ... თქვენ გეძახდნენ მაშინ არა ნოეს, არამედ გოლიას... ამხანაგი მოსკატელი ძალიან დაინტერესებულია თქვენით, თქვენი ცხოვრებით, მუშაობით... ის ამტკიცებს, რომ ყველა ქართველი მებრძოლი კარგად იქცეოდა. ვუყაცები და დისციპლინირებული იყვნენ“... შემდეგ წერილში მოყვანილია მრავალი საბრძოლო ეპიზოდი, რომელიც თავს გადახდა ნ. კუბლაშვილს იტალიელი ხალხის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში.

„ამხანაგმა მოსკატელმა, — აღნიშნულია შემდეგ წერილში,—იტალიის კომპარტიის სამდივნოში „გამოგზავნა უნიკალური წიგნი, რომლის 121-ე გვერდზე მოთავსებულია ქართველი მებრძოლების ფოტოსურათი... ამ წიგნს გიგზავნით თქვენ“.

გასაგებია, რა ინტერესით წაიკითხავდა ნ. კუბლაშვილი იტალიურ ენაზე დაწერილ წიგნს. იტალიური ენა კი მან კარგად იცის.

მკითხველს უდავოდ აინტერესებს ერთი რამ. როგორ მოხვდა ნ. კუბლაშვილი იტალიაში და როგორ მიიპყრო იტალიელი ხალხის, მისი კომუნისტური პარტიის მეთაურის პ. ტოლიატის ყურადღება?

ნოე გიორგის-ძე კუბლაშვილი დაიბადა 1907 წელს ტყიბულის რაიონის სოფელ ცუცხვათში, ღარიბი გლეხის ოჯახში. 1925 წელს დაამთავრა რეალური სასწავლებელი. 1927 წლიდან მუშაობდა ტყვარჩელში გზის მშენებლობაზე. აქედან პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტმა გაგზავნა მოსკოვში მახობრივ მუშაკთა კურსებზე. კურსების დამთავრების შემდეგ მუშობს აგარის შაქრის ქარხნის დირექტორის მოადგილედ, აგარის რაიპროფსაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ, ქვიშხეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ და ხაშურის მტს-ში. 1929-1934 წლებში იმყოფება საბჭოთა არმიის რიგებში.



... 1941 წელი. დიდი სამამულო ომი. ნოე ფრონტზეა. გმირულად იბრძვის გერმანელი ფაშისტების წინააღმდეგ. მაგრამ, მტრის ტყვეად მძიმედ დაჭრილი, ტყვეად ჩავარდა. ეს იყო იმავე წლის 28 ოქტომბერს.

1943 წელს საბჭოთა სამხედრო ტყვეების ერთი ჯგუფი ევაკუირებულ იქნა ჩრდილო იტალიაში. ამ ჯგუფში 40 ქართველთან ერთად იმყოფებოდა ნ. კუბლაშვილიც. მამაცი მებრძოლი ახერხებს ტყვეობიდან გაქცევას, უკავშირდება იტალიის პარტიზანულ ორგანიზაციებს, და სათავეში უდგება ქართველ პარტიზანებს, რომლებიც გმირულად იბრძვიან იტალიის განთავისუფლებისათვის. ამბ. ნოეს სისტემატური კავშირი აქვს კომუნისტური პარტიის ლიდერთან პ. ტოლიატისთან.

ნ. კუბლაშვილი 1944 წლის აპრილის დასასრულს პარტიზანთა მთავარი კომიტეტისაგან იღებს შემდეგ დავალებას:

„ბუსოლენოს ხაზზე განლაგებულია გერმანელთა ბატალიონი, რომელსაც ტყვეობაში ჰყავს რუსები. გეგალებათ სასწრაფოდ დავამყაროთ კავშირი რუს ტყვეებთან, მოვაწყოთ მათი გაქცევა და შევუერთოთ ისინი ჩვენს რაზმს; შედეგები მომახსენეთ. კომიტეტის თავმჯდომარე ბარბეტა“.

ნ. კუბლაშვილი წერს წერილს ქართულად და იწვევს საიდუმლო შეხვედრისათვის ავტორიტეტიან ქართველ ტყვეებს. ეს წერილი იტალიელი პარტიზანების დახმარებით გარდება ქართველ ტყვეებს გ. ტუსიაშვილს და გ. ჩხაიძეს. ისინი, აღფოთოვანებულნი თვიანთი ხელმძღვანელის წერილით, იძლევიან მტკიცე დაპირებას, რომ მამაცურად იბრძოლებენ გერმანელი ფაშისტების წინააღმდეგ. იმავე ღამეს, იტალიელი პარტიზანების დახმარებით სამხედრო ბანაკიდან გაიქცა ბევრი ტყვე, მათ შორის 43 ქართველი. ისინი შეუერთდნენ იტალიელ პარტიზანებს.

—ეს იყო 1944 წლის 5 მაისს,— იგონებს ნ. კუბლაშვილი,—ჩვენ ავაფეთქეთ ფერიერის ფაბრიკა და გერმანელებს ხელიდან გამოვტაცეთ 40 ქართველი ტყვე. მაგრამ ყველას განთავისუფლება მაშინ ვერ მოვახერხეთ. დატოვება კი ნამუსმა არ მოგვცა. არ გასულა რამდენიმე წუთი და ჩემთან იტალიელი პარტიზანი ვიტორიო და ქართველები გ. ნაზარიძე და ა. ვარდანიძე მოვიდნენ.

—აბა, ბიჭებო, — ვეუბნები მათ, რაც უნდა დაგვიჯდეს, უნდა შევძლოთ ყველა ქართველის განთავისუფლება.

—თავს შევწირავთ და თქვენს დავალებას შევასრულებთ, — მითხრეს და მოქმედებას შეუდგნენ. რთულ პირობებში მოუხდათ ამ დავალების შესრულება. მალე დღის სინათლე ნახა კიდევ 47 ქართველმა.

ნოე კუბლაშვილი საუბარში ხშირად იხსენებდა სერგო ჩხვირკაიას. მისი ცხოვრება ნათლად მეტყველებს საბჭოთა ადამიანის ხასიათზე.

—ერთხელ პარტიზანული მოძრაობის კომიტეტისაგან მივიღე ცნობა, რია... ბატალიონი, რომელსაც ტყვეობაში ჰყავს რუსები. გეგალებათ სასწრაფოდ დავამყაროთ კავშირი რუს ტყვეებთან, მოვაწყოთ მათი გაქცევა და შევუერთოთ ისინი ჩვენს რაზმს; შედეგები მომახსენეთ. კომიტეტის თავმჯდომარე ბარბეტა“.

ნ. კუბლაშვილი წერს წერილს ქართულად და იწვევს საიდუმლო შეხვედრისათვის ავტორიტეტიან ქართველ ტყვეებს. ეს წერილი იტალიელი პარტიზანების დახმარებით გარდება ქართველ ტყვეებს გ. ტუსიაშვილს და გ. ჩხაიძეს. ისინი, აღფოთოვანებულნი თვიანთი ხელმძღვანელის წერილით, იძლევიან მტკიცე დაპირებას, რომ მამაცურად იბრძოლებენ გერმანელი ფაშისტების წინააღმდეგ. იმავე ღამეს, იტალიელი პარტიზანების დახმარებით სამხედრო ბანაკიდან გაიქცა ბევრი ტყვე, მათ შორის 43 ქართველი. ისინი შეუერთდნენ იტალიელ პარტიზანებს.

—ეს იყო 1944 წლის 5 მაისს,— იგონებს ნ. კუბლაშვილი,—ჩვენ ავაფეთქეთ ფერიერის ფაბრიკა და გერმანელებს ხელიდან გამოვტაცეთ 40 ქართველი ტყვე. მაგრამ ყველას განთავისუფლება მაშინ ვერ მოვახერხეთ. დატოვება კი ნამუსმა არ მოგვცა. არ გასულა რამდენიმე წუთი და ჩემთან იტალიელი პარტიზანი ვიტორიო და ქართველები გ. ნაზარიძე და ა. ვარდანიძე მოვიდნენ.

—აბა, ბიჭებო, — ვეუბნები მათ, რაც უნდა დაგვიჯდეს, უნდა შევძლოთ ყველა ქართველის განთავისუფლება.

—თავს შევწირავთ და თქვენს დავალებას შევასრულებთ, — მითხრეს და მოქმედებას შეუდგნენ. რთულ პირობებში მოუხდათ ამ დავალების შესრულება. მალე დღის სინათლე ნახა კიდევ 47 ქართველმა.

ნოე კუბლაშვილი საუბარში ხშირად იხსენებდა სერგო ჩხვირკაიას. მისი ცხოვრება ნათლად მეტყველებს საბჭოთა ადამიანის ხასიათზე.

—ერთხელ პარტიზანული მოძრაობის კომიტეტისაგან მივიღე ცნობა, რია... რომ ჩვენი პარტიზანული განლაგებისაკენ მოემართება 5.000 გერმანელი ფაშისტი.

— იყავით მზად! — არის მითითება.

მე ჩემი მხრივ ვიძლევი განკარგულებას, რომ ყველა ქვეჯგუფმა გაამაგროს თავისი განლაგება და მოემზადოს ბრძოლისათვის. საერთო ზედამხედველობას ვაკისრებ სერგო ჩხვირკაიას.

დადგა მომენტი. მე ვაძლევ სიგნალს სერგოს ატეხოს სროლა. მაგრამ გაისმა მტრის ქვემეხის გასროლა, და სერგო ორივე ფეხში დაიჭრა. მტერი 45-50 მეტრზე მოგვიახლოვდა. აქ დაყოვნება აღარ შეიძლება. ჩემი განკარგულება, და გაისმა პარტიზანთა ქვემეხებისა და ნაღმსატყორცნების სროლის ხმა. მტერმა დიდი ზარალი ნახა და იძულებული შეიქნა უკან დაიხია.

ორმხრივი ცეცხლის გრიალში გადავწყვეტეთ გადაგვეყვანა ს. ჩხვირკაია ზურგში, ხოლო შემდეგ გაგვეგზავნა სამკურნალოდ. მაგრამ ამაოდ. პარტიზანული რაზმი მტრის რკალში მოექცა. უკანდასახევი გზა გადაჭრილი აღმოჩნდა. ფაშისტები ყოველი მხრიდან გვიტევდნენ. ჩვენმა ტყვეებმა არა ერთი და ორი ფაშისტი გამოასალმა სიცოცხლეს, მაგრამ მტერი მრავალრიცხოვანი იყო. ს. ჩხვირკაია სიკვდილისაგან რომ გვეხსნა, მტრისაგან 30 მეტრის მოცილებით დავაწყვინეთ და გადავაფარეთ ფოთლები, მაგრამ მტერმა ის შეამჩნია და ცოცხლად ხელში ჩაგდება მოისურვა. მაშინ ქართველმა მებრძოლმა პისტოლეტი მოიმარჯვა და სროლა აუტეხა ფაშისტებს.

— მე არ დავიკვნესებ, — განაცხადა ს. ჩხვირკაიამ, — მშვიდობით ამხანაგებო! შეუერთდით სხვა პარტიზანულ რაზმებს, მუსრი გაავლეთ გერმანელ ფაშისტებს...“

პარტიზანული მოძრაობის შტაბის ბრძანებით ნ. კუბლაშვილი ინიშნება ლეგიონის მეთაურის მოადგილედ სამწყობრო დარგში. ქართველი ტყვეების მასობრივმა გაქცევამ იძულებული გახადა გერმანელი ფაშისტები ჩეხოსლოვაკთა ბატალიონით გაემაგრებინათ რკინიგზის ხაზი, რომელიც გადიოდა გვიარაბზე იტალიიდან საფრანგეთში. ნ. კუბლაშვილს ევალება კავშირი დაამყაროს ჩეხოსლოვაკებთან და პარტიზანთა მხარეზე გადმოიყვანა ისინი. ეს დავალებაც ნ. კუბლაშვილმა ბრწყინვალედ შეასრულა.

ასეთი და მსგავსი ეპიზოდებით სავსეა ნ. კუბლაშვილის ცხოვრების ისტორია...

ნ. კუბლაშვილმა სათავგადასავლო საუბარი რომ მოათავა, მცირეოდენი პაუზა გაიკეთა, ოდნავ ირონიულად გაიღიმა და თქვა:

— მე მგონია, დროა გონს მოვიდნენ ამერიკელი ვაუბატონები და თავი დაანებონ იარაღის ულარუნს, თორემ საბოლოოდ იმასვე წაიღებენ, რაც ფაშისტებმა წაიღეს, მართალია, უკვე ხანში შესული ვარ, მაგრამ თუ საჭირო იქნება, შემიძლია კიდევ გავიხსენო ჩემი ახალგაზრდობა...

ზ. მერკვილაძე.

• • •

მდინარე ალგეთის ხეობაში

ფოტოეტიუდი შ. ჩხეტიანისა.

სპარტაკიადის ალამი აღმართეს

გუშინ ბაქოში საზეიმოდ გაიხსნა მოსწავლეთა VII სპარტაკიადა. სპორტსმენთა პარადისა და ალმის აღმართვის შემდეგ გრძელდებოდა შეხვედრები სპორტის სხვადასხვა სახეობაში.

კვლავ წარმატებით იბრძვიან ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენები —ფეხბურთელები, მოჭიდრაკეები, წყალბურთელები. საქართველოს გუნდმა ფინალში კიდევ ერთი გამარჯვება მოიპოვა ლატვიელ ფეხბურთელებთან მატჩში ანგარიშით 3:0.

დინამოელთა მეორე გამარჯვება

მოსკოვში „დინამოს“ კალათბურთელ ვაჟთა კოლექტივი წარმატებით გამოდის საკავშირო ჩემპიონატის მეორე წრეში. მას შემდეგ, რაც დინამოელებმა დამარცხეს ლიდერი — ცსკა-ს გუნდი, გუშინ ისინი შეხვდნენ კაუნასის „ჟალგირისს“ და მორიგი გამარჯვება მოიპოვეს ანგარიშით 82:71.

მსოფლიოს პირველობა ხუთჰიდში

მოსკოვში რამდენიმე დღეა გრძელდება მსოფლიოს პირველობის გათამაშება თანამედროვე ხუთჰიდში 15 ქვეყნის უძლიერეს სპორტსმენთა მონაწილეობით.

ჩემპიონატის პირველი დღე დათმობილი ჰქონდა ცხენოსნურ კროსს. ხუთჰიდის ამ სახეობაში უძლიერესი აღმოჩნდა ავსტრიელი სპორტსმენი ლიხტენერ ჰოეერი,

20 აგვისტოს სპორტის სასახლეში გაიმართა თანამედროვე ხუთჰიდის პროგრამით გათვალისწინებული შერიბრება ფარიკაობაში. პირველი ადგილი მოიპოვა მსოფლიოს სამგზის ჩემპიონმა ი. ნოვიკოვმა, რომელიც ლიდერი გახდა.

21 აგვისტოს სპორტსმენები ერთმანეთს პირველობას ეცილებოდნენ სროლაში. გაიმარჯვა ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენელმა ჩერნიმ.

გუშინ მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე ხუთჰიდელები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ცურვაში. აქ გამარჯვება საბჭოთა სპორტსმენს ი. დერიუგინს ხვდა.

ორი „ლოკომოტივის“ მატჩი

გუშინ თბილისის „ბურევესტნიკის“ სტადიონზე შედგა რესპუბლიკათა „ბ“ კლასის გუნდების მატჩი ფეხბურთში. თამაშობდნენ თბილისის და გომელის „ლოკომოტივის“ გუნდები. მატჩის შედეგია 3:0 გომელის ფეხბურთელთა სასარგებლოდ.

სსრ კავშირის თასზე

გუშინ ბაქოში გაიმართა სსრ კავშირის თასის გათამაშების მატჩი ფეხბურთში ადგილობრივ „ნეფტიანიკისა“ და ტალინის „ალევეის“ გუნდებს შორის. გაიმარჯვეს ბაქოელმა ფეხბურთელებმა ანგარიშით — 2:1.

გათუმის ნახევარფინალი

გუშინ ბათუმში შედგა მე-11 ტური ჭადრაკში.

გურგენიძემ მორიგი გამარჯვება მოიპოვა კალანტართან, გიასლისმა დაამარცხა ანოხინი, პრესმა—ჭილიბეელი, ლომაიამ — უსტინოვი, ნეიმ — არაქელოვი. პავლენკო-ბუსლაევის, მოსიონჟიკგრუშევსკისა და ზახარიან-ბაგიროვის პარტიები ყაიმით დამთავრდა.

11 ტურის შემდეგ გურგენიძეს 9,5 ქულა აქვს და ლიდერობას ინარჩუნებს.

რედაქტორი
დ. მამედლიშვილი.

ამბები, ფაქტები, ცნობები

ამერიკის პლასტმასის გამოფენა თბილისში

ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკის საზაფხულო თეატრის ფლაგშტოკებზე ფრიალებს ამერიკის შეერთებული შტატების, საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ალმები. 22 აგვისტოს აქ გაიხსნა ამერიკის შეერთებული შტატების პლასტმასების მოძრავი გამოფენა. იგი მოაწყო საბჭოთა კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის კულტურული გაცვლის შესახებ შეთანხმების შესაბამისად ამერიკის შეერთებული შტატების საინფორმაციო სააგენტომ სრულიად საკავშირო სავაჭრო პალატის ხელის შეწყობით და საქართველოს სავაჭრო პალატის მონაწილეობით. გამოფენა უკვე იყო კიევსა და მოსკოვში.

საქართველოს სავაჭრო პალატის პრეზიდიუმის სახელით გამოფენა გახსნა პალატის თავმჯდომარემ რ. ელიგულაშვილმა. იგი მიესალმა გამოფენის მომწყობთ. გამოფენის გახსნა თბილისში, თქვა მან, იმად მიგვაჩნია, რომ ამერიკის მხარეს სურს გაფართოოს და განამტკიცოს ეკონომიური და კულტურული თანამშრომლობა საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხალხებს შორის.

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა საბჭოთა კავშირში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ეკონომიურ საკითხთა მრჩეველმა ბ-ნმა ედვენ მორელმა. მან გააცხო დამსწრეთ გამოფენის პერსონალი, მოკლედ დაახასიათა პლასტმასის მრეწველობის განვითარება ამერიკის შეერთებულ შტატებში.

იმედი მაქვს, თქვა ბ-ნმა მორელმა, რომ ჩვენი გამოფენა მოგეწონებათ და დაგაინტერესებთ.. იმედს გამოვთქვამ, რომ ეს გამოფენა ხელს შეუწყობს ამერიკის შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცებას.

სსრ კავშირში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მრჩეველმა გადაჭრა ლენტი და მიიწვია შეკრებილნი გამოფენის ექსპონატების გასაცნობად. გამოფენის განყოფილებანი მოგვითხრობენ, თუ როგორ იყენებენ პლასტმასებს მრეწველობაში, ტრანსპორტზე, მშენებლობაში, მედიცინაში, ხელოვნებაში, სპორტსა და ტურიზმში.

გამოფენის ოფიციალური გახსნის შემდეგ მისმა დირექტორმა ტერენტი კატერმანმა დარბაზობა გამართა სტუმრების პატივსაცემად.

ამერიკის შეერთებული შტატების პლასტმასების გამოფენა თბილისში 14 სექტემბრამდე იქნება. (საქმესი).

ქირურგის გამარჯვება

ქუთაისი. (საკ. კორ.). თოთხმეტი წლის ბიჭს ი. იაკობაშვილს ცხენმა წიხლი ჰკრა. იგი უგრძნობ მდგომარეობაში მიიყვანეს ქალაქის პირველ საავადმყოფოში. ავადმყოფს ღვიძლი გახეთქოდა, მუცლის ღრუში დიდალი სისხლი ჩაქცეოდა.

ახალგაზრდა ქირურგმა ოთარ გელოვანმა სასწრაფოდ გაუკეთა ოპერაცია, გაგლეჯილი ღვიძლი საიმედოდ გაუკერა და ავადმყოფს სიცოცხლე დაუბრუნა. ი. იაკობაშვილი თავს კარგად გრძნობს.



სურათზე: საჩხერე. ერთ-ერთი ქუჩის ხედი.

ფოტო ს. კილაძისა.

სიცოცხლის რისკით

გვოზდეკი. (სტანისლავის ოლქი), (საკ.დესი). ეს მოხდა სასოფლო-სამეურნეო არტელ „მეგობრობაში“. სამ ახალგაზრდა კოლმეურნეს მინდორში ჰექა-ქუხილმა მოუსწრო. საით უნდა წასულიყვნენ? უახლოესი თავშესაფარი აღმოჩნდა ცარიელი მიტოვებული ფარდული, რომელსაც ოდესღაც კოლმეურნეობა ხმარობდა. თუმცა მისი ჩალის სახურავი დახვრეტილი იყო, მაგრამ ავდარში მაინც შეაფარებდა თავს ადამიანი.

ჩამოწოლილ ღრუბლებზე ელვა იკლაკნებოდა, წამოვიდა კოკისპირული წვიმა და სეტყვა. ერთ-ერთი სამთაგანი—სტეფანე გალიცკი დერეზე ავიდა. დანარჩენი ორი — პეტრე პალაგიცკი და პავლე სენიუკი ჩალის გროვაზე დასხდნენ. თავშესაფარში წყვდიადი განთდა და მძლავრმა ბიძგმა ძირს ჩამოაგდო გალიცკი. იგი დაბრმავებულ-დაყრუებული ერთ ხანს უძრავად იწვა და გონს მაშინ მოვიდა, როცა ფარდულს ალი ჰქონდა მოდებული. გამოვარდა გარეთ, მაგრამ მოაგონდა ამხანაგები — სად არიან? გაიფიქრა, შევარდა აგიზგიზებულ ცეცხლში. ამხანაგები უძრავად იწვნენ იქ, სადაც ისხდნენ. გალიცკიმ გამოიყვანა ჯერ პალაგიცკი, შემდეგ სენიუკი, მაგრამ სენიუკი მეხს მოეკლა.

პალაგიცკი გადარჩა, მაგრამ კონტუზია ჰქონდა და ფეხები დასწოდა.

კოლმეურნეობა „მეგობრობის“ პარტიულმა ორგანიზაციამ და ხელმძღვანელობამ მადლობა გამოუცხადეს სტეფანე გალიცკის და შუამდგომლობენ, რომ იგი დაჯილდოვდეს მედლით „მამაცობისათვის ხანძრის დროს“.

ს. ე. ჰილაია— ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის მდივანმა, კრიტიკოსმა სერგი ესტატეს-ძე ჭილაიამ თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის, დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის, აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტების გაერთიანებულ სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე: „მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურა“.

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან არსებულმა უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ დაამტკიცა ს. ე. ჭილაიასთვის ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მიკუთვნება.

გუნეგის ლაგორატორია

✦

ფრინველთა კვნაული

ჩინელმა ორნიტოლოგებმა ცინხაის ზღვაში აღმოაჩინეს პატარა კუნძული, რომელსაც ფრინველის სიმრავლის გამო „ფრინველთა კუნძული“ დაარქვეს. იგი გამოცხადებულია ეროვნულ ნაკრძალად და გადაქცეულია ბუნების ლაბორატორიად, სადაც სწავლობენ მათს ცხოვრებას, ახდენენ შეჯვარებას, აშინაურებენ კარგი ჯიშის ფრინველს. მაგალითად, მოშინაურებულია ჭრელთავა ბატა, რომელიც 3-4 კილოგრამს იწონის და გემრიელი ხორცი აქვს.

✦ ✦ ✦

✦ ✦ ✦

✦ ✦ ✦ კომუნისტი

✦ ✦ ✦

დღეს ოსლოში

საბჭოთა კავშირის ნაკრების მატჩი ოსლოში ნორვეგიელთა წინააღმდეგ სპორტის მოყვარულთა ყურადღებას იპყრობს. ნორვეგიელებს ქვეჯგუფში წარმატების შანსები აღარა აქვთ, მაგრამ ისინი მაინც შეეცდებიან მიაღწიონ ერთგვარ რეაბილიტაციას სპორტული საზოგადოებრიობის თვალში. ამასთან ისინი ყოველთვის უკეთ თამაშობენ საკუთარ მოედანზე. 1957 წელს ოსლოში ნორვეგიელებმა მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში დაამარცხეს უნგრეთის ძლიერი გუნდი (2:1), ხოლო შარშან სძლიეს შვედებსაც (3:1).

ამას წინათ დამთავრდა ნორვეგიის მორიგი ჩემპიონატი. პრესის ქვეჯგუფში კონკურენციის გარეშე იყო „ფკ ფრიდრიკსტადი“, რომელმაც 22 ქულით 14 თამაშიდან დიდად გაუსწრო დანარჩენ მეტოქეებს. ბევრად უფრო საინტერესოდ მიმდინარეობდა ბრძოლა მეორე ქვეჯგუფში, აქ პირველი ადგილი 18 ქულით დაიკავა „ტონსბერგმა“, რომელმაც მხოლოდ ერთი ქულით გაუსწრო ოსლოს „ლინსას“ და ორი ქულით — ოსლოს „როზენბორგს“.

გადამწყვეტ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ქვეჯგუფებში გამარჯვებულნი — „ფკ ფრიდრიკსტადი“ და „ტონსბერგი“. გიმარჯვა „ფკ ფრიდრიკსტადმა“, რომელმაც მოიპოვა ნორვეგიის 1961 წლის ჩემპიონის წოდება.

საბჭოთა ფეხბურთელები უკვე რამდენიმე დღეა ოსლოში იმყოფებიან. აქ მათ მოაწყეს წვრთნა, რომელსაც დიდძალი მაყურებელი დაესწრო. ადგილობრივი პრესა ფართო კომენტარს უკეთებს საბჭოთა ფეხბურთელების მომავალ გამოსვლას. ბილეთები დღევანდელ მატჩზე მთლიანად გაყიდულია. როგორც ოსლოდან გვაცნობეს, ნორვეგიელებთან მატჩში საბჭოთა გუნდის შემადგენლობა ასეთი იქნება — იაშინი, დუბინსკი, მახლიონკინი, ჩოხელი, ვორონინი, ნეტო, მეტრეველი, ივანოვი, პონედელნიკი, ბუბუკინი მესხი.

✦ ✦ ✦

მონადირეთა საყურადღებოდ!

ნადირობის ვადები და წესები 1961-1962 წლის სანადირო სეზონისათვის

ნადირობა ნებადართულია: ხუთშაბათობით შაბათობით და კვირაობით.

მწყერზე, კრონშნეპზე, ქედანზე, გვრიტზე, ვეფან მტრედზე, მელოტაზე, ჭაობის ქათამზე, ღალდაზე და იმ ნადირსა და ფრინველზე, რომლებიც ამ განცხადებაში არ არის ჩამოთვლილი, — 17 აგვისტოდან 1 მარტამდე.

ტყის ქათამზე — აღმოსავლეთ საქართველოში 1 სექტემბრიდან 1 დეკემბრამდე და 15 მარტიდან 15 აპრილამდე, ხოლო დასავლეთ საქართველოში 15 ოქტომბრიდან 31 იანვრამდე და 1-დან 30 აპრილამდე.

ჭოვილოსა და ჭეიამპოზე — 1 სექტემბრიდან 15 ნოემბრამდე და 15 აპრილიდან 31 მაისამდე.

წყალზე მცურავ ფრინველზე (ბატი, იხვი) — 15 ნოემბრიდან 1 მარტამდე, ხოლო ახალქალაქის, ბოგდანოვკის და წალკის მაღალმთიან რაიონებში 17 აგვისტოდან 1 მარტამდე.

კვერნაზე — 1 დეკემბრიდან 1 მარტამდე.

ალტაის და ტელეუტის ციყვზე — 15 ნოემბრიდან 1 მარტამდე.

სარსარაკსა და სავათზე — 1 დეკემბრიდან 1 მარტამდე.

ყველა მავნე მტაცებელ ნადირზე (მგელი, ფოცხვერი, აფთარი, დათვი, ტურა, გარეული კატა, მელა, ენოტისებური ძაღლი, მაჩვი, ჭრელტყავა) და მავნე მტაცებელ ფრინველზე — მთელი სანადირო სეზონის განმავლობაში, ხოლო 1 მარტიდან 15 აგვისტომდე წერილობითი ნებართვით.

ერთ ნადირობაზე, რამდენ დღესაც უნდა გრძელდებოდეს იგი, ერთ მონადირეს ნება ეძლევა მოიპოვოს: წყალზე მცურავი ყველა სახის ფრინველი — არაუმეტეს 10 ცალისა, სარსარაკი — არაუმეტეს 10 ცალისა, სავათი — არაუმეტეს 2 ცალისა, მწყერი არაუმეტეს — 30 ცალისა, ჭოვილო — არაუმეტეს 15 ცალისა, ტყის ქათამი — არაუმეტეს 10 ცალისა.

ნადირობა აკრძალულია: ირემზე, შველზე, ჯიხვზე, არჩვზე, ნიამორზე, ჯეირანზე, გარეულ ღორზე, კურდღელზე, ნუტრიაზე, ზავზე, ამერიკულ წაულზე, დედოფალზე, ხოხობზე. დურაჯზე, გნოლზე, კაკაბზე, შურთხზე, როქოზე, თეთრ ყანჩაზე, გედზე, თეთრ და შავ ყარყატზე, კოდალაზე, გუგულზე და ყველა მგალობელ ფრინველზე.

ყოველგვარი ნადირობა აკრძალულია სახელმწიფო ნაკრძალების, გარდაბნის სახელმწიფო სამონადირეო მეურნეობის, „ყორუღის“ ხოხბის საკიმე მეურნეობის (საგარეჯო) და კოლხიდის ხოხბის საკიმე მეურნეობის (ხობი) ტერიტორიაზე და ორი კილომეტრის ზონაში ამ მეურნეობათა გარშემო.

ნადირობა აკრძალულია აგრეთვე ალანდარა-იორის სახელმწიფო სანადირო აღკვეთილში სოფელ დუზაგრამიდან აზერბაიჯანის საზღვრამდე ორი კილომეტრის ზონაში მდინარე იორის გასწვრივ და ყველა სანადირო აღკვეთილის ტერიტორიაზე, რომლებიც ჩამოყალიბებულია მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოების გადაწყვეტილებებით.

აკრძალულია აგრეთვე ალაზანი-ალაზანი-ალაზანი ტერიტორიაზე, ყოველგვარი ნადირობა, ხოლო დმანისის რაიონის მთელ ტერიტორიაზე აკრძალულია ყოველგვარი ნადირობა მთელი წლის განმავლობაში.

მიწერილი სანადირო მეურნეობების ტერიტორიაზე სანადიროდ დაიშვებიან იმ მონადირეთა საზოგადოებების წევრები, რომლებზეც მიწერილია ეს მეურნეობა, სხვა მონადირეები კი მხოლოდ მეურნეობის მფლობელის ნებართვით.

დანარჩენ ადგილებში ნადირობა ნებადართულია სანადირო ბილეთის მქონე მონადირეთათვის ვადების და წესების დაცვით.

აკრძალულია ყოველგვარი ნანადირევი პროდუქციის გაყიდვა ხელზე. ნანადირევის შესყიდვასა და გასაღებას აწარმოებენ მონადირეთა საზოგადოებების მაღაზიები და დამამზადებელი ორგანიზაციები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სატყეო მეურნეობის, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარი სამმართველო.

23 აგვისტო

ტელევიზია: 18.00 — გადაცემა ციკლიდან — „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII და საქართველოს კომუნისტური პარტიის XXI კონგრესების შესახებ ვედრად“ — „კომკავშირი და დიდი ქმნა“, 18.15 — კინოჟურნალი, 18.25 — გადაცემა რუმბინელი ხალხის ეროვნული ფოლკლორული ანსამბლი“, 18.40 — კინოჟურნალი, 18.50 — გადაცემა ციკლიდან „გამოჩენილი კომპოზიტორები“.—ჯაკომო პუჩინი, 19.40 — კინონარკვევი, 20.00 — ახალი ამბები, 20.15 — მხატვრული ფილმი — „მაშენკა“.

საქართველოს სსრ 1961 წლის ფულისა და ნივთების ლატარიის (მესამე გამოშვება) **30-კაპიკიანი ბილეთით შეიძლება მოიგოთ** ერთბინიანი სამოთახიანი სტანდარტული საცხოვრებელი სახლი, ავტომანქანა „ვოლგა“ და „მოსკვიჩი“, აგრეთვე პიანინო, საწოლი ოთახის გარნიტური, ტელევიზორი, მაცივარი და სხვა ძვირფასი ნივთი.

მოგებათა ტირაჟი შედგება 1961 წლის 20-22 სექტემბერს. ქ. გორში.

შეიძინეთ ლატარიის ბილეთები!

საქართველოს სსრ სახელმწიფო შრომის შემნახველი სალაროებისა და სახკრედიტის სამმართველო.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები: თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეებმა—3-63-03, პასუხისმგებელი მდივნის—3-72-80, სამდივნოსი — 3-81-65, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების, მრ